საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 15 მაისი, 2014 წელი.

№94 (7475)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

არჩევნებამდე ერთი თვით ადრე

შენც უნდა მოერგო და თბილისიც უნდა მოგერგოს! 4

პოლიტიკური ცივ-ცხელება პარტიებში 7

9 საუბარი XXII საუკუნის ადამიანთან

მხარეების ყურადღების ცენტრშია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და კრიზისი უკრაინაში 8

არის ასეთი ხედვაც

მიიღებს თუ არა კაცობრიობა კანონის დიქტატურას?

ნომრის კარიკატურა

6 სტრატეგიული ობიექტი სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს!

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს! 11

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მივესალმებით ევროკომისიის გადაწყვეტილებას - საქართველოს გამოუყოს 30 მილიონი ევრო

გვჯერა, რომ ევროკავშირი კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას აღმოუჩენს აღმოსავლეთ ევროპის პატნიორ ქვეყნებს, რომლებმაც ევროპული არჩევანი გააკეთეს, — ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეისთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონში დღეს არსებული სირთულეების გათვალისწინებით, ევროკავშირის აქტიურ ძალისხმევას ელის.

„გვჯერა, რომ ევროკავშირი კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას აღმოუჩენს აღმოსავლეთ ევროპის პატნიორ ქვეყნებს, რომლებმაც ევროპული არჩევანი გააკეთეს. „თავისუფალი, ერთიანი და მშვიდობიანი ევროპის“ პროექტი ჯერ არ შემდგარა და ველით, რომ ერთიანი, ძლიერი და წარმატებული ევროკავშირი აქტიურ როლს შეასრულებს ამ მიზნის მიღწევაში, — აღნიშნა პრემიერმა.

ამასთან, პრემიერი იმედოვნებს ევროკავშირი მომავალშიც გაგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ყველა შესაბამისი რესურსისა თუ ინსტრუმენტის გამოყენებით.

— ჩვენ დიდად ვაფასებთ ევროკავშირის დახმარებას რეფორმების განხორციელების პროცესში. ამ კონტექსტში, მივესალმებით ევროკომისიის გადაწყვეტილებას, რომ „მეტი-მეტისათვის“ პრინციპის ფარგლებში, საქართველოს გამოუყოს დახმარება 30 მილიონი ევრო. ეს თანხა მიმართული იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში ჩართული საჯარო ინსტიტუტების მოდერნიზაციისკენ, აგრეთვე სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერებისკენ. იმედი გვაქვს, რომ ევროკავშირი მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ყველა შესაბამისი რესურსისა თუ ინსტრუმენტის გამოყენებით, — აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, რომპეისთან შეხვედრაზე საუბარი შეეხებო საქართველოს მონაწილეობაზე ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში, რაც საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროკავშირის მონიტორინგის მისია, როგორც ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმი და ქვეყანაში მშვიდობის რეალური გარანტი. ჩვენთვის უაღესად მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც ევროკავშირს შეაქვს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში ჟენევის მოლაპარაკებებში აქტიური მონაწილეობითა და სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის გზით, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

◎ იურისტების აზრი

როგორ შეიცვლება საპროცესო კოდექსი?

იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებები შესთავაზა. რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში იმგვარი საპროცესო კოდექსის არსებობა, რომელიც ადამიანის უფლებებს არ არღვევს? რა პრობლემები იყო კოდექსში გასული წლების განმავლობაში, იურისტების აზრით, და რა ცვლილებებს გთავაზობს იუსტიციის სამინისტრო?

იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტს განსახილველად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტი წარუდგინა. იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ განაცხადა, რომ ამიერიდან „საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში მანკიერი მხარეებისგან გათავისუფლდება და მოქნილ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდება, ხოლო პროცესი გამჭვირვალე გახდება“.

ცვლილებათა პაკეტის თანახმად, უქმდება შეთანხმება სასჯელის თაობაზე, როგორც საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა. ახლა საპროცესო შეთანხმების საფუძველი მხოლოდ ბრალზე შეთანხმება იქნება, ანუ როცა ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, პროკურორთან სასჯელის თაობაზე შეთანხმება ხდება.

როგორც ალექსანდრე ბარამიძე ამბობს: კანონპროექტის კიდევ ერთ ინოვაციას წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების ოქმის შედგენის ვალდებულების შემოღება. ის უნდა ასახავდეს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვის მხარისთვის. აუცილებელი ხდება დოკუმენტი დაერთოს სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ. შეთანხმების გაფორმებამდე ბრალდებულს უნდა განემარტოს საპროცესო შეთანხმების ყველა სამართლებრივი შედეგი, მათ შორის, ის გარემოება, რომ შეთანხმების გაფორმება იწვევს პირის ნასამართლეობას.

საპროცესო შეთანხმება აბსოლუტურად არ გულისხმობს იმას, რომ თანხის გადახდა უნდა ყოფილიყო პრინციპი და ამომავალი საფუძველი ასეთი შეთანხმებების დადების. და ასეთი სახე მიიღო, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში...

გასული წლების განმავლობაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარშემო მრავალი შენიშვნა დაგროვდა, მათ შორის, საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის ტომას ჰამარბერგის ანგარიშში. 2013 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ამ ანგარიშის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეთა სრული რაოდენობის, დაახლოებით, 90%-ში საპროცესო გარიგება გამოიყენებოდა. მისივე რეკომენდაციით, საქართველოს უნდა შეემუშავებინა მექანიზმები, რომ შანტაჟი და საპროცესო გარიგების სისტემის ბოროტად გამოყენების სხვა ფორმები აღმოფხვრილიყო.

კოდექსის პრობლემებზე 2014 წლის 13 მაისს, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში ცვლილებათა პაკეტის განხილვისას კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამაც ისაუბრა: საპროცესო შეთანხმება აბსოლუტურად არ გულისხმობს იმას, რომ თანხის გადახდა უნდა ყოფილიყო პრინციპი და ამომავალი საფუძველი ასეთი შეთანხმებების დადების. და ასეთი სახე მიიღო, სამწუხაროდ, წლების განმავლობაში. გარიგების დადება გარკვეული თანხის სანაცვლოდ და ჯარიმის აღრევა არ უნდა მოხდეს იმაში, რომ ეს იყოს საპროცესო გარიგების დადების ძირითადი საფუძველი და ეს კანონში მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული.

იურისტი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანა აუცილებელია. მისი თქმით, კანონმდებლობა იმდენად გაუმართავია, რომ ის პროკურატურას დიდ ძალაუფლებას აძლევს, ხოლო სასამართლოს, პირიქით, შესაძლებლობებს უზღუდავს:

ნაცვლად იმისა, რომ კანონპროექტი ადამიანის უფლებების დაცვისთვის ყოფილიყო მობილიზებული, იგი შსს-ს ინიციატივით დაიჩეხა და ძალიან ცოტა რამ გავიდა...

ჩვენი კოდექსი არ განასხვავებს, რა ტიპის დანაშაულზე შეიძლება და რაზე არ შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება. ეს არის სრულად პროკურატურის დისკრეცია, რა ტიპის დანაშაულზე შეიძლება საპროცესო შეთანხმების დადება. გარდა ამისა, ძალიან დიდი პრობლემაა ის, რომ პროკურატურის სრული და განუსაზღვრელი დისკრეცია არანაირად გამჭვირვალე არაა და არანაირ კონტროლს არ ექვემდებარება, მათ შორის, სასამართლოს მხრიდან.

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წევრი, არჩილ ჩოფიკაშვილი, წარსულის გამოცდილებას იხსენებს და კოდექსში შესატან ცვლილებებს პესიმისტურად უყურებს:

„აქ გასათვალისწინებელია არსებული რეალობა: როდესაც პარლამენტი შეიკრიბა ამ შემადგენლობით და ინიცირება განახორციელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და საზოგადოებას სისხლის მართლმსაჯულებისთვის საკანონმდებლო პაკეტი და ცვლილებები შესთავაზა, შემდგომში, ნაცვლად იმისა, რომ კანონპროექტი ადამიანის უფლებების დაცვისთვის ყოფილიყო მობილიზებული, იგი შსს-ს ინიციატივით დაიჩეხა და ძალიან ცოტა რამ გავიდა“.

არჩილ ჩოფიკაშვილი დასძენს, რომ არსებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ფინანსური საკითხია: მსჯავრდებულის რეალური სასჯელის ვადა მცირდება ან იზრდება იმის მიხედვით, თუ რა ოდენობის თანხას გადაიხდის იგი:

„ეს მომენტი უნდა მოიხსნას სრულიად, რაც, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივაში არის, მაგრამ რამდენად იქნება პროკურატურის მზაობა, რომ თავიანთ განზრახვაზე ხელი აიღონ და ფინანსური მომენტი ჩამოაცილონ საპროცესო გარიგებას და სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ძალიან ოპტიმისტურად არ უნდა ვიყოთ განწყობილი“.

საყოველთაო უნდობლობა, რომელიც პროკურატურის, საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიმართ არსებობს, ამ ინსტიტუტის არსებობას პრაქტიკულად ძირს უთხრის...

ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის მონაცემებით, მხოლოდ 2013 წელს, 9 თვის განმაცლობაში, ჯარიმების, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის, გირაოსა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 54 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამ გზით ბიუჯეტში 2009 წლიდან 2012 წლამდეც ათობით მილიონი ლარი შედიოდა ყოველწლიურად.

როგორც ლია მუხაშავრია ამბობს, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი სახელმწიფოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სანდოა და გამართულად მუშაობს: „ჩვენს შემთხვევაში ამ მიზნების მიღწევა რამდენად არის შესაძლებელი არსებული კანონმდებლობის პირობებში, ეს ცალკე კრიტიკის საგანი შეიძლება იყოს, იმიტომ რომ საყოველთაო უნდობლობა, რომელიც პროკურატურის, საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიმართ არსებობს, ამ ინსტიტუტის არსებობას პრაქტიკულად ძირს უთხრის“.

გიორგი გოგუა,
რადიო „თავისუფლება“

ასოცირების შეთანხმებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოაწერს ხელს

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ევროკავშირთა ასოცირების შეთანხმებას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მოაწერს ხელს.

— საქართველოს მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციაზე. საქართველოს მთავრობა არის პასუხისმგებელი იმაზე, რაზეც მოილაპარაკა ევროკავშირთან. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოეწერება 27 ივნისს ბრიუსელში, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობის მეთაურები შეიკრიბებიან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ არ დააკონკრეტა, თუ ვინ მოაწერს კონკრეტულად ხელს ქართული მხრიდან და არც ის, იქნება თუ არა დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს პრეზიდენტი.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ნათია მიქიაშვილის ადგილას, გადაცემა „ანატომიის“ „რუსთავი 2“-ზე გასვლით, ამ არხს დამოუკიდებელი ტელევიზიის მანტიის მოსხმაში არ წავეხმარებოდი! 9 წლის მანძილზე რაც კი სააკაშვილის რეჟიმს დაუშავებია, ყველა იმ უბედურების თანამონაწილე, დამგეგმავი და გამპრავებელი ტელევიზიის არც რეიტინგი მინდა, არც ანაზღაურება, არც გადაცემაში ჩაურევლობის გარანტია და არც არაფერი! ძალიან მნიშვნელოვანია საიდან იტყვი სიმართლეს! თუ ფონი ყარს, სიმართლეც აზრს კარგავს... და ყველაზე მთავარი — ვინ ვინ და აი, დონაძის დასაცინად ნამდვილად არ გავიხდიდი თავს...

● გიორგი კიკონიშვილი, რომელსაც „მაესტროზე“ „კვირის აზრები“ მიჰყავს, თავის საავტორო სვეტში წერს: „— ასე დაწვა ეკლესიამ კოცონზე ჯორდანო ბრუნო, კაცი, რომელიც ამტკიცებდა დედამიწა მრგვალიაო, მაგრამ გავიდა საუკუნეები და ახლა არც მეტი, არც ნაკლები კოსმოსურ ხომალდზე დამონტაჟებული HD კამერებით პირდაპირ ეთერში ვუყურებთ მრგვალ დედამიწას. ასე ამბობდა ეკლესია, ბითლზის მუსიკა სატანისტურიაო. მაგრამ დღეს ბითლზი მე-20 საუკუნის უდიდეს მუსიკალურ აქტად ითვლება. ასე ამბობდა ეკლესია, ოპერაში სიარულიც სატანიზმიაო, მაგრამ დღეს თავად პატრიარქი დაბრძანდება ოპერის გაფუფუნებულ ლოჟებში“!

არც გიორგია, ჯერჯერობით, ილია ჭავჭავაძე, რომ მთელს საქართველოს საქციელი დაგვიწუნოს და არც კონჩიტაა ჯორდანო ბრუნო, რადგან დარწმუნებული ვარ, მასაც და კონჩიტასაც, არათუ კოცონის ენა, წვრილი სიგარეტის ფერფლიც რომ შეახოთ, მაშინვე უარს იტყვიან თავის აზრებზე და ნოვატორულ იდეებზე. იმიტომ, რომ მათი „ვაჟკაცობა“ (ძალიან მიჭირს ამ სიტყვის მათნაირებზე გამოყენება) რეალურ, ხელშესახებ საფრთხემდე გრძელდება, ხოლო ამ საფრთხეს რომ იგრძნობენ, ღმერთს კი არ ახსენებენ, კარგ შემთხვევაში, დედიკოს მოუხმობენ საშველად, ხოლო უარესში — პატრულს!

კიკონიშვილისნაირები იმასაც ვერ ბედავენ, რომ თავიანთი „აზრები“ მეზობლებს გაუზიარონ, ამიტომ ჩაკეტილან ოთახებში და „პოლუმრაკში“ თხზავენ ასეთ სისულელეებს პედერასტების ვაჟკაცობაზე!...და კიდევ ერთი, გიორგის ნაბუტურევი მარწმუნებს, რომ ზუსტადაც საჭიროა გარჩევა ადამიანებისა, არა თუ რასისტული და რელიგიური კუთვნილების, არამედ სოციალური ნიშნითაც, რადგან ჯორდანო ბრუნოობა ყველას არ შეუძლია და ამისთვის, კიკონიშვილი კი არა, დადიანი მაინც უნდა იყო!

მაპატიეთ, მაგრამ საშინლად მიშლიან ნერვებს ის ადამიანები, ვინც იცავს სიმახინჯეს და ამას ახლებურ აზროვნებას ეძახის!

ცხონებულმა ბაბუაჩემმა იცოდა კიკონიშვილისნაირებზე თქმა: „ეჰ, ბაბუა, ეტყობა, შენ გაქცეულს არ მოგისაქმებიაო!“

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ტონი, რომელიც ხელისუფლებამ ფარულ მოსმენებზე სასაუბროდ აირჩია, აშკარად წამგებიანია

„ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება პოლიტოლოგი, თსუ-ს პროფესორი კორნელი კაკაჩია

— ბატონო კორნელი, ამას წინათ თბილისს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და საფრანგეთის პრეზიდენტი სტუმრობდნენ. უკრაინაში განვითარებული პროცესების ფონზე, როცა ქვეყანა უახლოვდება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას, მაღალი რანგის ევროპელი ლიდერების სტუმრობა კარგი ნიშანი უნდა იყოს...

— გეთანხმებით. უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებმა არ მოადუნონ ყურადღება საქართველოსა და მოლდოვის მიმართ, რადგან ამ ეტაპზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მხოლოდ ამ ორ სახელმწიფოს აქვს სურვილი და შესაძლებლობა, დაუახლოვდეს ევროპას.

— უკრაინა კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრში რჩება. პუტინმა 7 მაისს შვეიცარიის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ უარი თქვა სეპარატისტების მხარდაჭერაზე და მათ 11 მაისისთვის დანიშნული რეფერენდუმის გადადებისაკენ მოუწოდა. ამ მოწოდების მიუხედავად, რეფერენდუმის შედეგებზე კრემლმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია იმედი, რომ „რეფერენდუმის შედეგების რეალიზაცია ცივილიზებულად განხორციელდება“. რა გამოდის, კრემლი კიევს რუსეთისთვის დონეცკისა და ლუკანსკის ოლქებზე ევაჭრება? და კიდევ, იმუშავა თუ არა სანქციებმა და რას შეიძლება ნიშნავდეს პუტინის „უკან დახევა“?

— მე მგონი, მსოფლიოში უკვე აღარავინ დარჩა, ვინც დაიჯერებდა პუტინის ამ განცხადების გულწრფელობას. სამწუხაროდ, უკრაინის ამ ნაწილში მიმდინარე მოვლენები საპირისპიროს ამტკიცებს. მოქმედი საერთაშორისო სანქციების ფონზე რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, მოირგოს „ობიექტური და მიუკერძოებელი არბიტრის“ როლი და საერთაშორისო საზოგადოებას თვალი აუხვიოს. თუმცა, თუ მოვლენების განვითარებას და კრემლის მმართველთა რიტორიკას ყურადღებით დავაკვირდებით, აშკარაა, რომ რუსული დიპლომატია ცდილობს, მიაღწიოს თავის სანუკვარ გეოპოლიტიკურ მიზანს — უკრაინის დესუვერენიზაციას და თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს არ გამოუვიდა, მაშინ აპირებს მის დანაწევრებას და სამხრეთ და აღმოსავლეთის რეგიონების ხარჯზე ე.წ. ნოვარასიას შექმნას, რომელშიც ასევე მოიაზრება დნესტრისპირეთის რეგიონი.

ამ სცენარის განხორციელების შემთხვევაში ამ ხელოვნურად შექმნილ ერთეულს იგივე ბედი ელოდება, რაც ყირიმს. იმისათვის, რომ არ განხორციელდეს ეს მზაკვრული გეგმები, საჭიროა დასავლური სანქციების გაგრძელება, რომელმაც უკვე მოახდინა გარკვეული გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი. ასევე მნიშვნელოვანია, უკრაინამ მოახერხოს არჩევნების ჩატარება და ხელისუფლებაში მოვიდეს ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც განახორციელებს რადიკალურ რეფორმებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შეჩერება. იმედია, უკრაინელი ხალხი ღირსეულად გაართმევს თავს ამ საქმეს და ბოლომდე იბრძოლებს საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის.

— მოსმენების თემამ წინასაარჩევნო ბატალიებში ჩაფლული საზოგადოება საკმაოზე მეტად დაზაფრა. პროკურატურის განცხადებამ — „მაღალი ალბათობით, დაკარგული ფარული მიყურადების ტექნიკით ყოფილი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი პირები სარგებლობენ“ ვითარება კიდევ უფრო გააბუნდოვნა. ალბათ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შეიძლება, გამოითქვას ვარაუდი, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას უსმენს. ასეც რომ იყოს, პროკურატურას მოსასმენი აპარატურის გაუჩინარების შესახებ კარგა ხნის წინათ თავად უნდა გაეცხადებინა, ვიდრე ამაზე საუბარს „რუსთავი-2“ დაიწყებდა. რა გამოდის, „ნაცმოძრაობამ“, რომელიც ამტკიცებს, რომ რეალურად შექმნა ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურები, ხელისუფლებიდან წასვლისას ეს სტრუქტურები სახლში გაიყოლა? ამ თემაზე უამრავი ვარაუდი გამოითქმის. თქვენ როგორ შეაფასებდით მოსმენებთან დაკავშირებულ საინფორმაციო ნაკადს და რას შეიძლება ეს ყველაფერი ნიშნავდეს?

— უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსმენებზე ხელისუფლების მიერ გაკეთებული კომენტარები არადამაჯერებელი და ოდნავ კომიკურიც კია. საზოგადოებას რჩება შთაბეჭდილება, რომ სამართალდამცავი უწყებები თვალთვალისა და მიყურადების განხორციელებისას წინა ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას იყენებენ.

ხელისუფლებას უჭირს საკუთარი პოზიციის მკვეთრად გამოხატვა, რადგან თვითონაც მოსმენების წინააღმდეგ აგორებული ტალღის ფონზე მოვიდა. დილემა, რომლის წინაშე ხელისუფლება დღეს დგას, არის ის, თუ სად გადის ზღვარი სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესების დაცვასა და მოქალაქეების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპებს შორის. ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ჩვენი საზოგადოების პრობლემაცაა. თუმცა, ტონი, რომელიც ხელისუფლებამ მოსმენებთან დაკავშირებით სასაუბროდ აირჩია, მისთვის აშკარად წამგებიანია. განსაკუთრებით საგანგაშო იყო პრემიერ-მინისტრის თავდაპირველი შეფასებები სამოქალაქო სექტორის მიმართ, რომელიც მან მოგვიანებით ოდნავ შეარბილა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა დღეს ბოლომდე ვერ აკონტროლებს სამართალდამცავ სტრუქტურებს ან შეგნებულად ცდილობს, ეს აზრი საზოგადოებას თავს მოახვიოს, რომ პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს. სხვაგვარად როგორ შეიძლება გავიგოთ ხელისუფლების განცხადება, რომ მოსმენებზე მონოპოლია მარტო სახელმწიფოს არა აქვს. მთლიანობაში, როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, მგონია, რომ აუცილებელია მთავრობის მიერ მოსმენებზე მკაფიო რეგულაციების შემოღება, რომელიც მნიშვნელოვნად შეზღუდავდა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უკანონო მოსმენების შესაძლებლობებს.

— პროკურატურა რომ თანმიმდევრული იყოს, აქამდე დაადგენდა და არ მოერიდებოდა არა მარტო იმ პირთა ვინაობის გასაჯაროებას, ვინც მატერიალურად იყო პასუხისმგებელი სახელმწიფოს მიერ შეძენილი ძვირადღირებული მოსასმენი აპარატურის გაუჩინარებაზე, არამედ გაამჟღავნებდა იმათ ვინაობასაც, ვისაც შეეძლო მათი ხელს გაყოლება. თქვენი აზრით, რატომ ერიდება პროკურატურა ამგვარი, ერთი შეხედვით მარტივი ნაბიჯების გადადგმას?

— მაინც მგონია, რომ პროკურატურა, ისევე როგორც სახელმწიფოს მართვის სისტემა, მთლიანად არის მოშვებული. ამ საქმის გამორკვევა, თუ ასეთი რამ მართლაც მოხდა, რა თქმა უნდა, მისი პირდაპირი მოვალეობაა, მით უმეტეს, თუ ამაზე ინფორმაცია მანამდეც ჰქონდათ. ალბათ, პროკურატურას ეგონა, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ფაილების განადგურება, უკანონო მოსმენებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამძიმება და სანქციების გამკაცრება ის ღონისძიებებია, რომლებიც ქვეყანაში უკანონო მიყურადების პრაქტიკას დაასრულებს. ჩემთვის, მართლაც გაუგებარია მათი პოზიცია, რომ თურმე არსებობს მაღალი ალბათობა, რომ აღნიშნული ტექნიკით სარგებლობენ ყოფილი ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი პირები. თუ ეს იცოდნენ, აქამდე რატომ არ გაირკვა ეს საკითხი და თუ არ იცოდნენ და მხოლოდ ახლა გაიგეს, კიდევ უარესი.

თუმცა, მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში მათ ამ საქმის გამოსასწორებლად და სიმართლის დასადგენად დრო ჯერ კიდევ აქვთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ამ და მსგავსი საქმეების გამოძიებისას არ შესუსტდეს სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი. იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურამ ამ საქმეს თავი ვერ გაართვა, არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, რომელიც ამ საქმეს მეტ-ნაკლებად ობიექტურად გამოიძიებდა.

— დავუშვათ, როგორც ამას ხელისუფლება არ გამორიცხავს, „ნაცმოძრაობამ“ თავად ჩაწერა და „რუსთავი-2“-ს გასავრცელებლად გადასცა ფარული ჩანაწერები, რა პოლიტიკური მიზანი შეიძლება ჰქონოდა ყოფილ ხელისუფლებას და რეალურად რა სურათი მივიღეთ?

— კონკრეტული ფაქტების გარეშე ამ თემაზე საუბარი რთულია, მაგრამ, თუ ამ სცენარს ჰიპოთეტურად მაინც დავუშვებთ, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობა“ ცდილობს, ჩამოირეცხოს ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებული თავისი არცთუ სასიამოვნო იმიჯი, რომელიც დღემდე შემორჩა. მათ საკუთარ თავზე გამოსცადეს საზოგადოების მხრიდან ასეთი პრაქტიკის მიუღებლობა და მშვენივრად ესმით, რომ საზოგადოების მოთხოვნები ამ უკანონო საქციელებთან დაკავშირებით დიდად არ შეცვლილა.

აქედან გამომდინარე, ისინი ცდილობენ, ითამაშონ პრინციპით — „ის ჩემზე უარესია“ და ხალხს დაანახონ, რომ მიუხედავად გაცემული დაპირებებისა, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით არავითარი გაუმჯობესება არ შეინიშნება. მათი მხრიდან ალბათ არსებობს მოლოდინი, რომ ასეთი სკანდალები საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტური აღმოჩნდება და ნელ-ნელა გამოიწვევს არსებული ხელისუფლების კრიზისს და ეჭვქვეშ დააყენებს მის ლეგიტიმურობას, რაც, რა თქმა უნდა, წყალს მათ წისქვილზე მიუშვებს.

— როგორ შეაფასებდით წინასაარჩევნოდ არსებულ ვითარებას? რამდენად დიდია ალბათობა, რომ „ნაცმოძრაობამ“ ადგილობრივ ორგანოებში პოზიციები გაიმყაროს ანაც სულაც დაკარგოს მთავარი ოპოზიციური პარტიის სტატუსი და, ვთქვათ, იგივე ბურჯანაძე - გაერთიანებულმა ოპოზიციამ ჩაანაცვლოს?

— ადგილობრივი არჩევნები, ალბათ, არ არის ის საჯილდაო ქვა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, გავაკეთოთ მკვეთრი შეფასებები საქართველოს მომავალ პოლიტიკურ ლანდშაფტთან დაკავშირებით. თუმცა, მისი შედეგები მნიშვნელოვანია ყველა იმ საარჩევნო სუბიექტისთვის, რომელიც ჩართული არიან არჩევნებში.

ჩემი აზრით, ამ არჩევნებში საზოგადოების აქტიურობას ნაკლებად უნდა ველოდოთ, რადგან ჯერჯერობით არ ჩანს ახალი პოლიტიკური ძალა ან პოლიტიკურ ძალთა ახალი კონფიგურაცია, რომელსაც შეეძლო რამე სიახლის შეთავაზება ქართველი ამომრჩევლებისთვის. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიუხედავად ბოლო ხანს დაგროვილი სამართლიანი კრიტიკისა, ალბათ, ამ არჩევნებს ინერციით „ქართული ოცნება“ მოიგებს.

რაც შეეხება მეორე ადგილს, როგორც წინა საპარლამენტო არჩევნების დროს, სავარაუდოდ, ამ საკითხს ე.წ. მიუმხრობელი ამომრჩეველი გადაწყვეტს, რომელთა რიცხვი ბოლო სოციოლოგიურ გამოკითხვებს თუ ვენდობით, თითქმის 30 პროცენტამდეა. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე რთულია იმაზე პასუხის გაცემა, თუ ვის მიანიჭებს უპირატესობას ელექტორატის ეს მნიშვნელოვანი ნაწილი — „ნაცმოძრაობას“, თუ ბურჯანაძის პოლიტიკურ ბლოკს. თუმცა, როგორიც არ უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, სავარაუდოდ, „ნაცმოძარაობა“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე მაინც შეინარჩუნებს ძირითადი ოპოზიციური პარტიის სტატუსს.

მთლიანობაში თუ შევაფასებთ წინასაარჩევნო გარემოს, ის კვლავ მკვეთრად პოლარიზებულია. როგორც წინა წლებში, ამჯერადაც ვერ ავცდით იმ რეალობას, როდესაც პოლიტიკური პარტიები, იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირებას აკეთებდნენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სასიცოცხლო საკითხებზე, ძირითად აქცენტებს აკეთებენ პიროვნებებზე და ოპონენტების დისკრედიტაციაზე, რაც ცოტა არ იყოს, მომაბეზრებელი ხდება.

— მართალია, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებამ საქართველოში საჰაერო თავდაცვის სისტემების განთავსების აუცილებლობის შესახებ თითქოს ჩაიარა, მაგრამ ამ თემაზე ატეხილმა აჟიოტაჟმა რამდენიმე არასასიამოვნო რამ გამოაშკარავა: 1. გაუგებარია, რატომ ჩაითვალა, რომ ალასანია ნატოს საქართველოში რუსული ბირთვული იარაღის საწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებას მოითხოვდა. 2. ირინა იმერლიშვილისა და მანანა კობახიძის განცხადებები სხვაგვარად არ იკითხება თუ არა, როგორც, სულ მცირე, მმართველ გუნდში გუნდურობის დეფიციტი და 3. გაუგებარია, საზოგადოება, რომელსაც სურს დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრება, რატომ შეხვდა ალასანიას განცხადებას ასე აგრესიულად და შეიძლება ითქვას, არაკვალიფიციურად. ამ „გაუგებრობებზე“ თქვენი ვერსიები როგორი შეიძლება იყოს?

— ამ საკითხთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, ალბათ, უფრო იმას უნდა მივაწეროთ, რომ თავდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებული ეს მნიშვნელოვანი განცხადება, როგორც ჩანს, არ იყო შეჯერებული სამთავრობო პოზიციასთან და, რაც მთავარია, წინასწარ არ იყო შეთანხმებული მმართველ გუნდთან, რამაც ბუნებრივია, გამოიწვია როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების მხრიდან ამ საკითხზე მსჯელობა და კრიტიკული შეფასებები. შეიძლება ვიდავოთ იმაზე, რამდენად აქვს თავდაცვის მინისტრს უფლება, დამოუკიდებლად განსაზღვროს, სად და რა საკითხზე გააკეთოს ესა თუ ის განცხადება, მაგრამ განცხადების კონტექსტს თუ ჩავუღრმავდებით, ალბათ, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ალასანიას ინიციატივა მთლიანობაში პოზიტიურია და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე დადგა. მისი ძირითადი მიზანია საქართველოს თავდაცვითუნარიანობის ამაღლება და ჩვენი პარტნიორებისათვის რუსეთის აგრესიის შედეგად საქართველოში შექმნილი უსაფრთხოების დილემის არსებობის შეხსენება. შესაბამისად, მეჩვენება რომ, განცხადება შექმნილი კონკრეტული სიტუაციის გამოსავლის ძიებითაა ნაკარნახევი. თუმცა, რეგიონში შექმნილი რთული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ალბათ, აჯობებდა ასეთი საკითხების განხილვა კულუარული დიპლომატიის ნაწილი იყოს და არა საჯარო პოლიტიკური დისკურსის. ასევე უკეთესი იქნებოდა, თუ ასეთი განცხადება იქნებოდა ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან უკვე მიღწეული კონკრეტული გადწყვეტილებების შედეგი და არ იქნებოდა აღქმული როგორც სურვილების დეკლარაცია.

ზოგადად კი, ალბათ, სასურველია, რომ ჩვენი თავდაცვითი და უსაფრთხოების პოლიტიკა უფრო „რეალპოლიტიკის“ პრინციპებს ეყრდნობოდეს და აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისას არ შემოიფარგლოს მხოლოდ იდეალისტური მიდგომებით. რადგან, როგორც თავის დროზე, ბარბარა კონრიმ მართებულად შენიშნა, „ისტორია ადასტურებს, რომ დიდ სახელმწიფოებს არ სურთ საკუთარი თავის გაწირვა თავიანთი მცირე მოკავშირეების ინტერესების სასარგებლოდ.“ შესაბამისად, აუცილებელია, რომ საქართველომ გამოიმუშავოს რეალისტური, პერსპექტიული საგარეო პოლიტიკა, რომლის ძირითადი გეოპოლიტიკური იმპერატივი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და თავისუფლების შენარჩუნება.

კობა ბენდელიანი

◎ ალიან-ჩალიანი

ალექსანდრე ჭიკაიძე ილჰამ ალიევს შეხვდა

საძარმოველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იმყოფება. უწყების ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში შს მინისტრი უკვე შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს. მათივე განმარტებით, შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებს შეეხო.

ალექსანდრე ჭიკაიძე აზერბაიჯანელ კოლეგა რამილ უსუბოვსაც შეხვდა. მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები და სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ამასთან, მინისტრებმა საზღვრისპირა რაიონებში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაზე ისაუბრეს. საუბარი ასევე შეეხო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ რეფორმებს და ამ მიმართულებით დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს.

ოფიციალურ შეხვედრებამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა დელეგაციის წევრებთან ერთად „საპატიო დაკრძალვათა“ ხეივანი მოინახულა. მინისტრმა აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევისა და მისი მეუღლის ზარიფა ალიევას საფლავები გვირგვინით შეამკო.

ინტერპრესი

◎ ᲛᲔ ᲐᲡᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ!

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲦᲠᲔ

ᲓᲦᲔᲡ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თბილისის მერობის ყველაზე დიდი შანსი აქვს ორ კანდიდატს — დავით ნარმანიას და დიმიტრი ლორთქიფანიძეს. საბოლოოდ, ალბათ ნარმანია გაიმარჯვებს. ანუ მოხდება ის, რაც ხდებოდა აქამდე — თბილისის მერის ძალიან მნიშვნელოვან პოსტზე მმართველი პარტიის წარმომადგენელი მოგვევლინება.

არ ვამბობ, რომ ნარმანია არ იმსახურებს თბილისის პირველკაცობას. პირიქით, მიმაჩნია, რომ იგი იქნება კარგი მერი. უფრო კონკრეტულად, ვეთანხმები მისი კანდიდატურის წამომყენებელ მმართველ კოალიციას, ანუ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ ნარმანია იქნება უეჭველად კარგი. მით უფრო, რომ გამარჯვების შემთხვევაში მას ექნება კოალიციის (ბიძინა ივანიშვილის) უპირობო მხარდაჭერა.

სწორედ ამ „კარგობაზე“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

როცა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირზე (პრემიერი, მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, ქალაქის მერი...) ლაპარაკობენ, გულისხმობენ, რომ ის არის „კარგი“ ან „ცუდი“ არა ზოგადად, არამედ ის „კარგია“ ან „ცუდია“ მისი დამნიშნავისთვის; ასრულებს ან ვერ ასრულებს არა ზოგადად მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, არამედ დამნიშნავის დავალება-მითითებებს. „კარგისა“ და „ცუდის“ გარჩევისას რამე რომ არ შემეშალოს, გერმანო-ამერიკელ ფილოსოფოსსა და ფსიქოანალიტიკოსს ერიხ ფრომს დავესესხები. რაციონალური (ნამდვილი) და ირაციონალური (მოჩვენებითი) ავტორიტეტების შესახებ საუბრისას, მას ერთი ასეთი მაგალითი მოჰყავს: როცა პატრონი თავის ძაღლზე ამბობს, “„კარგიაო“, იგი ძაღლის იმ თვისებებს გულისხმობს, რაც პატრონის მოთხოვნებს აკმაყოფილებს — მოდარაჯეა, მეძებარია, ალერსიანია, უკანა თათებზე დგება ან მღერის არიებს ოპერებიდან (ძაღლური ხელოვნების შესახებ ფრომს არაფერი უთქვამს!). ამავე კრიტერიუმებით შეიძლება მივუდგეთ ადამიანებსაც.

აქედან გამომდინარე, მართლაც კარგი ადამიანი ნარმანია უეჭველად იქნება „კარგი“ მერი, რადგან იგი იძულებული იქნება უყოყმანოდ და უსიტყვოდ შეასრულოს კოალიციის (ივანიშვილის) ნებისმიერი მითითება — დარგოს მილიონი ხე, ააშენოს დაკიდული ბაღები, გაიყვანოს ტრამვაის მაგისტრალები, დუშეთის რაიონი შეუერთოს თბილისს, მტკვრის მარცხენა სანაპიროს დაარქვას მარშალ დე გოლის სახელი, დაანგრიოს სააკაშვილის „ვირის ხიდი“, ტენდერებში გაამარჯვებინოს კოალიციის ერთგულ კომპანიებს, თანამდებობებზე დანიშნოს კოალიციის ერთგული კადრები, ხარჯები გადაანაწილოს კოალიციასთან შეთანხმებით და საკუთარი შეხედულებების გათვალისწინებით და ასე შემდეგ. ამავე დროს, ნარმანიას ექნება მმართველი კოალიციის სრული მხარდაჭერა თვით ბოდვითი (ღმერთმა დაუფაროს!) იდეების განხორციელების შემთხვევაშიც კი.

ᲨᲔᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲠᲒᲝ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲠᲒᲝᲡ!

ბუნებრივია, ფაქტობრივად შეუძლებელი (უგულებელყოფილი) იქნება მერიის კონტროლი საზოგადოებისა და ოპოზიციური პარტიების მხრიდან, ანუ გარეგნულად დავით ნარმანია იქნება უძლიერესი, ყოვლისშემძლე პოლიტიკური ფიგურა, სინამდვილეში - ყოვლად ჩვეულებრივი მარიონეტი მმართველი კოალიციის ხელში.

რაც მთავარია, ასეთი „კარგი“ მერი ძალიან მალე გადაიქცევა სრულიად მიუღებელ ფიგურად ამომრჩეველთა დიდი ნაწილის, მათ შორის, მისი გულწრფელი მხარდამჭერებისთვის და, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკურ კარიერას ბევრი თავისი წინამორბედივით უჩუმრად და უსახელოდ დაამთავრებს.

ვითარებას ისიც ამძაფრებს, რომ ნარმანიას არ აქვს საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფია. ერთ მშვენიერ დღეს იგი „ციდან ჩამოვარდა“ — მითიურმა ბიძინა ივანიშვილმა მინისტრად დანიშნა. შესაბამისად, საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად მას აუცილებლად სჭირდება დრო და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა.

სამწუხაროდ, არ ვიცი, უფიქრია თუ არა ასეთ პერსპექტივაზე თვითონ დავით ნარმანიას.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — პირადად ნარმანიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და თუ მაგალითად მომყავს, მხოლოდ იმიტომ, რომ მმართველი კოალიციის კანდიდატურაა. თანაც, როგორც ამბობენ, კაი ბიჭია და განტეევების ვაცობისთვის არ მემეტება. ალბათ, მშობელი მამაც ასე ეტყოდა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე რომ მმართველი კოალიციის წარმომადგენელი იყოს, მასზეც ზუსტად იგივეს გავიმეორებდი, რაც ნარმანიაზე ვთქვი. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პოლიტიკოსი დიმიტრი ლორთქიფანიძე საზოგადოებისათვის კარგა ხანია, ცნობილია არა როგორც რომელიმე პარტიით ზურგგამაგრებული პერსონა, არამედ საკმაოდ ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა, ვის ხილვასაც თავის რიგებში ბევრი პოლიტიკური პარტია ინატრებდა. მისი შეფასებისას იქნებ ვაჭარბებ კიდეც, მაგრამ ასე სჩანს გარედან.

ლორთქიფანიძე რომ ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობას“ წარმოადგენს, ეს მის ავტორიტეტს ვერ დაემუქრება, რადგან „დემოკრატიული მოძრაობა“ არ არის მმართველი პარტია (ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში). თუ მერად ავირჩევთ, დიმიტრი ლორთქიფანიძე ერთბაშად სამმაგი რეალური კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება: საზოგადოებისა, ხელისუფლებისა, ოპოზიციური პარტიებისა. ანუ მას ფაქტობრივად არ მიეცემა თვით უმცირესი თვითნებობის საშუალებაც კი. იგი, რომ არ უნდოდეს კიდეც, იძულებული იქნება, ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს. მაგალითად, ახალი ხიდი მტკვარზე ააშენოს იქ, სადაც საჭიროდ მიიჩნევენ თბილისელები და არა იქ, სადაც ეს ხიდი სასიამოვნო ხედს შეუქმნის პრეზიდენტ მარგველაშვილს ან პოლიტიკიდან „სამოქალაქო სექტორში წასულ“ ივანიშვილს.

„სხვა“ მერი საკრებულოს გვერდის ავლით ან მის დაუკითხავად რაიმე, თუნდაც ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას ვერც გაბედავს, ვერც მოახერხებს და ვერც იკადრებს.

ამის გარდა, თბილისის მერად „სხვა“ ლორთქიფანიძის არჩევა დიდად შეამცირებს მმართველი კოალიციის ტოტალიტარულ რეჟიმად გადაქცევის ალბათობას. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს მწარე გამოცდილება მალაპარაკებს.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თბილისის მერად არამმართველი ძალის წარმომადგენლის არჩევა, უპირველეს ყოვლისა, შედის თბილისელების ინტერესებში. იმ თბილისელებისა, ვინც არჩევნებში მონაწილეობას აპირებს და იმათ ინტერესებშიც, ვისაც არჩევნები მაინცდამაინც არ აინტერესებს, მაგრამ თბილისში ცხოვრებას აპირებს.

ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

◎ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲛᲗᲐᲨᲘ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ მოსახლეობისთვის სასმელი წყლის პრობლემა პრაქტიკულად სრულად მოგვარდა, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად დუშეთის გამგეობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა და ნაპირსამაგრი სამუშაოებიც დასასრულს უახლოვდება. რაიონში უკვე განხორციელებულ და მომავალში დაგეგმილ პროექტებზე, for.ge დუშეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲢᲠᲘᲞᲝᲚᲡᲙᲘ ესაუბრა.

— დუშეთის რაიონში, განსაკუთრებით გაზაფხულზე, მდინარეებისა და ხევების ადიდების პრობლემა მუდმივად იდგა. სამწუხაროდ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმების შედეგად, დუშეთის მოსახლეობას უზარმაზარი ზარალი მიადგა, განსაკუთრებით დოლასქედისა და რამდენიმე მიმდებარე სოფლის მოსახლეობა დაზარალდა. მოსახლეობასთან შესახვედრად მეორე დღესვე ადგილზე ჩავედი... როგორც ადგილობრივებმა მითხრეს, დუშეთის გამგეობას მთელი ზამთარი ნაპირების გამაგრებასა და დამბების შეკეთებაზე რომ არ ეზრუნა, ზარალი ბევრად მასშტაბური იქნებოდა. ისეთი ნიაღვარი მოდიოდა, სტიქიას მთელი სოფლის წალეკვა შეეძლო. ნაპირსამაგრი სამუშაოები უკანა ფშავშიც თითქმის ბოლო სოფლამდე განხორციელდა. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დასრულებული პროექტი უახლოეს მომავალში უნდა წარმოადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმებს დავაკისრებთ. ზოგადად, ასეთი მიდგომა მაქვს - თუ დაკისრებულ ვალდებულებებს კომპანია პირნათლად არ შეასრულებს, არავის დავინდობთ და კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს დაუყოვნებლივ მივმართავთ.

— მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქი სასმელი წყლით ბულაჩაურიდან მარაგდება, დუშეთის რაიონს სასმელი წყლის პრობლემა წლების განმავლობაში აწუხებდა. დღეს ეს პრობლემა გადაჭრილია?

— სასმელი წყლის პრობლემა თითქმის ყველა სოფელში აღმოიფხვრა. მათ შორის, ფასანაურშიც. ფასანაურში ავზი სრულად განახლდა, სასმელი წყლის მილები შვიდ კილომეტრზე გამოვიყვანეთ, თუმცა, როგორც მეუბნებიან, ამ მიმართულებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, ახლის ნაცვლად, მოსახლეობას სასმელ წყალს ძველი ავზიდან აწვდიან, რომელიც უამინდობის გამო საკმაოდ ამღვრეული იყო.

— ვინ არის პასუხისმგებელი და ვინ აწვდის მოსახლეობას ამღვრეულ სასმელ წყალს მაშინ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელებულია და აღნიშნული პრობლემა სრულად უნდა მოგვარებულიყო?

— ეს საკითხი აუცილებლად გაირკვევა, პასუხისმგებელი კი ის პირია, რომელიც უშუალოდ, ფასანაურის წყლით მომარაგებას ემსახურება. ამ ეტაპზე, ვერ დავიწყებ მტკიცებას, რომ ეს საბოტაჟია და მოსახლეობის გასაღიზიანებლად სპეციალურად კეთდება, მაგრამ უახლოეს მომავალში საკითხს გამოვიკვლევთ და სიმართლეც დადგინდება. რაც შეეხება სხვა პროექტებს. დუშეთში საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას ხევის ადიდებაც ქმნიდა, თუმცა, ამ მიმართულებითაც სერიოზული სამუშაოები განხორციელდა და ადგილობრივ მოსახლეობას სტიქიის უკვე აღარ ეშინია. გამგეობამ პრობლემის მოსაგვარებლად მართლაც 24-საათიან რეჟიმში იმუშავა, ხევზე ორი ხიდიც აღდგა... როგორც მითხრეს, მოსახლეობა საცალფეხო ხიდის აშენებასაც ითხოვს და უახლოეს მომავალ ში ეს მოთხოვნაც დაკმაყოფილდება.

— ადგილობრივი მოსახლეობა გზების რეაბილიტაციასაც ითხოვს, დუშეთის გამგეობაში კი აცხადებენ, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი. იქნებ დაასახელოთ კონკრეტული პროექტები.

— პირაქეთა და პირიქითა ხევსურეთის, კერძოდ, არხოტთან დამაკავშირებელი 25-კილომეტრიანი გზის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება, რომელიც სოფელ როშკას და პირიქითა ხევსურეთის სოფელ ამღას დააკავშირებს. როგორც ვიცი, გზის მშენებლობის შემდეგ, არხოტში დაბრუნების სურვილი 35-მდე ოჯახმა უკვე გამოთქვა. ამ პროექტის ფარგლებში სკოლის, კულტურის სახლის მშენებლობა და ინფრასტრუქტურის მოწყობაც იგეგმება.

მოგეხსენებათ, არხოტამდე სამანქანო გზა არასოდეს ყოფილა, პირიქითა და პირაქეთა ხევსურეთს ერთმანეთთან საცხენოსნო ბილიკი აკავშირებს. საპროექტო თანხაც უკვე გამოყოფილია, თუმცა, ამ ეტაპზე, უამინდობა გვაფერხებს. მოგეხსენებათ, საკმაოდ მაღალმთიან ტერიტორიაზეა საუბარი, სადაც თოვლი ჯერ არ დამდნარა. იმედი გვაქვს, მომავალი კვირიდან ეს პრობლემაც აღარ გვექნება და დამპროექტებლები თითოეული მეტრის შესწავლას შეძლებენ. რაც მთავარია, როშკა-არხოტის პროექტის განხორციელება კახეთიდან ჟინვალამდე გზის გავლისთვის საჭირო დროს 50 წუთით შეამცირებს. ამ პროექტს სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან სამხედრო გზაც სწორედ აქ გადის.

უახლოეს მომავალში ჩინთი-ბარისახოს გზის რეაბილიტაციაც იგეგმება, რომლის დასრულების შემდეგ შატილსა და ხევსურეთში ტურისტთა რაოდენობა გასამმაგდება. სამწუხაროდ, უგზოობის გამო ტურისტებს გადაადგილების პრობლემა ექმნებათ, რადგან თბილისიდან ხევსურეთამდე მგზავრობას დაახლოებით 5-6 საათი სჭირდება. პარალელურად, ახატანი-ბიწმენდის გზის რეაბილიტაციასაც ვგეგმავთ. ახატანელი ბავშვები ჭოპორტისა და ჟინვალის სკოლებში დადიან. ამის გამო, სოფელი ფაქტობრივად, იცლება, ამიტომ ახატანში სკოლის აღდგენა გადავწყვიტეთ, რათა ბავშვებს განათლების მისაღებად რამდენიმე კილომეტრის გავლა არ უწევდეთ.

ᲘᲮ. 7 ᲒᲕ.

პრობლემათა რკალი

ძართველი ერის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის სიღრმისეული ანალიზი და მათი გადაწყვეტის საშუალებების მოცემა ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია. აძლევ გამომდინარე, ზოგი პრობლემის მხოლოდ აღნიშვნით შემოვიფარგლებით.

ამჟამინდელ ხელისუფლებას მრავალი შეცდომა აქვს. ერთ-ერთი მთავარია ისაა, რომ მან ვერ შეძლო რეალობისათვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემუშავება. იმასაც დავძენდი, რომ ეს ყველა ქვეყნის პრობლემაც არის. ამ ფორმაციის შემუშავებაში უნდა ჩაებას ერის მოწინავე ინტელექტუალები.

ხელისუფლება სუსტია პროპაგანდაში. ხაზგასმით არ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ სოციალურად დაუცველ 350000 მოქალაქეს გაუორმაგდა დახმარება, საყოველთაო გახდა სამედიცინო სადაზღვევო მომსახურება, შემცირდა დენის მოხმარების ტარიფები, რაც მთავარია, შეწყდა ადამიანების მასობრივი რეპრესიები, და საგარეო პოლიტიკაში მკვიდრდება პრინციპი — ყველასთან ურთიერთობა, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს საქართველოს ინტერესთა ტოლქმედის დადებითობას.

* * *

ხელისუფლება და ვერც საზოგადოება ვერ ახერხებენ წინა ხელისუფლების იდეურად გაცამტვერებას და ძირითადად ეხებიან მისი კრიმინალური დანაშაულის ფაქტებს. რასაკვირველია, ამგვარი ქმედებაც აუცილებელია, მაგრამ უმთავრესი მაინც წინა ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული საქმიანობაა. მოკლედ, მისი უუნარობა, დანაშაული და შეცდომები ასე გამოიყურება: ვერ შეძლეს რეალობისთვის შესატყვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის შემუშავება, პრობლემები ვერ დაყვეს პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად. ვერ დაასახელეს კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები. ვერ გააანალიზეს უახლესი წარსულის (1918 წლიდან) მოვლენები და პოლიტიკოსების საქმიანობა.

მსოფლიოში დღეს არსებობს ძირითადად სამი პოლიტიკური მიმდინარეობა: ლიბერალიანისტური, სოციალისტური და ეტატისტური. საჭიროა მეცნიერულად, ფილოსოფიურად, სამყაროსეული გაგებით დამტკიცდეს, თუ რომელი პოლიტიკური მიმდინარეობა მიესადაგება საქართველოს დღევანდელობას.

წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ზემოხსენებული პრობლემის გადაწყვეტა. ეს გამონათქვამი ვერ ასახავს საქმის ნამდვილ ვითარებას. მისთვის, ამგვარი ამოცანების არსებობა უცხო ხილს წარმოადგენდა. არ ვიქნებით სამართლიანები, თუ ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართაც არ გაგვიჩნდება ამგვარი კითხვები.

პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანა ეროვნული დანაშაულია. 1918 წლის დეკემბერში საქართველოს ომი მოუხდა მეზობელ სახელმწიფოსთან. სწორედ ამ სახელმწიფოს მიერ ულტიმატუმის წამოყენების შედეგად, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში უნდა გადაეტანათ, საბოლოო ჯამში თბილისი, როგორც დედაქალაქი, დაკარგავდა თავის ფუნქციას — უკეთეს შემთხვევაში გადაიქცეოდა, ასე ვთქვათ, თავისუფალი ზონის ქალაქად, ან არაკეთილმოსურნეებს ხელში ჩაუვარდებოდათ.

აშკარაა, სააკაშვილი და მისი მომხრენი ხელისუფლებაში მოვიდნენ აშშ-სა და რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების მეშვეობით. ამ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული ხსენებული სახელმწიფოების გარკვეული დიასპორები. სწორედ ამ დიასპორების მოთხოვნა იყო თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანა. ეს დავალება ფრიადზე შეასრულა სააკაშვილმა.

ზემოაღწერილ მოვლენაზე ყურადღებას არავინ ამახვილებს და ძირითადად აქცენტი გადააქვთ მატერიალურ პრობლემაზე. შეიძლება შემომეკამათონ: არ სურთ მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაფუჭება. ჯერ ერთი, იმ დროს იქ სულ სხვა გაგების მთავრობა იყო; მეორეც, მინიშნებებით მაინც აღვნიშნოთ, საქმის იმჟამინდელი ნამდვილი ვითარება. გამოუსწორებელი შეცდომა იყო, რაც დანაშაულის ტოლფასია, კოდორის ხეობაში შინაგანი ჯარების შეყვანა.აფხაზები ასე თუ ისე ეგუებოდნენ კოდორის ხეობის საქართველოს ფარგლებში დე ფაქტოდ ყოფნას, მაგრამ ამ ხეობის საქართველოს ფარგლებში დე იურედ გამოცხადებას ვერ შეეგუენ და მივიღეთ ის, რაც სულ ცოტა ხნის შემდეგ მივიღეთ.

ცხინვალის დაბომბვა სააკაშვილის მიერ იყო ავანტიურა, რეალობის გაუთვალისწინებლობა, რაც ქართველ ხალხს ძვირად დაუჯდა.

2008 წლის შემოდგომაზე ოპოზიცია გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, რაც ძლიერ აშფოთებდა სააკაშვილს. მას რაღაც ზომისთვის უნდა მიემართა, რათა აბობოქრებული ოპოზიცია როგორმე დაეშოშმინებინა.... და ეს ზომაც გამონახა — ცხინვალის დაბომბვა. სააკაშვილის ავანტიურისტულ ქმედებაში მთავარი როლი შეასრულეს რუსმა სამხედროებმა, რომლებიც მას შთააგონებდნენ, რომ ქართველებისა და ოსების კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერეოდა. ისმება კითხვა: რატომ იქცეოდნენ რუსი სამხედროები ასე? — ფულის მიღების საფასურად. არსებობს გარეშე ძალები, რომელთაც სურთ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა არასოდეს გაუმჯობესდეს. სწორედ ასეთი ძალების მხრიდან, რუსმა სამხედროებმა ქრთამის მიღების საფასურად (მოვლენების განვითარებას ამ დასკვნამდე მივყავართ), მათზე დაკისრებული მოვალეობა ბრწინვალედ შეასრულეს. აკი, ხბოსავით აღტკინებული სააკაშვილი ქართველ ხალხს აუწყებდა: „სასიხარულო არის ის, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში არ ერევა“. გაუშვან ვიდეომასალა და ყველა დარწმუნდება მოყვანილი ციტატის სიმართლეში. შემდეგ რაც მოხდა, ყველასათვის ცნობილია, მაგრამ ერთ რამესაც ჩემეულს ვიტყვი: სააკაშვილი უნდა გადაგვეყენებინა. ამით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (სამაჩაბლო) დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებასა და ახალგორის რაიონის დაკარგვასაც გადავურჩებოდით.

* * *

სააკაშვილი და მისი მომხრეები თავს იმით იქებენ, რომ ბიუჯეტი საგრძნობლად გაზარდეს. როგორც ცნობილია, სამოქალაქო ომმა საქართველო უკიდურესად გააჩანაგა, ხოლო ბიუჯეტი უკანასკნელ ლარამდე გამოაცარიელა. ყოველივე ამას თან დაერთო სააკაშვილის და მისი ბანდის მხრიდან აშკარა საბოტაჟი, რისთვისაც ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი სახელმწიფოებრივი დანაშაულის ჩამდენნი უმკაცრესად ისჯებიან. ხალხმა კი ასეთ დამნაშავეებს ხელისუფლებისაკენ მიმავალი გზა დაულოცა. **ხელისუფლებაში მოკალათებული სააკაშვილი და მისი მომხრეები ზემოხსენებული სახელმწიფოებისა და დიასპორის მხარდაჭერით იმედმოცემულნი შეუდგნენ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების, ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვას, ბიზნესმენების დაყაჩაღებას. სწორედ ამ გზით შეავსეს ბიუჯეტი. სამაგიეროდ, საქართველოში განუზომლად მომრავლდნენ უცხოელები. ცოტა ხანში, ასე თუ გაგრძელდა, საქართველოს ტერიტორიას უცხოელები დაეპატრონებიან.** ეს გარემოება გასათვალისწინებელი აქვს ამჟამინდელ მთავრობას. თუ ხსენებულ პრობლემას ხელისუფლება უყურადღებოდ დატოვებს, უნებურად ისიც ქართველი ერის ინტერესების უგულებელმყოფელი აღმოჩნდება, ანუ ისტორია მასაც სააკაშვილის პოლიტიკის გამგრძობად მოიხსენიებს.

პრობლემების სიმრავლე გვავალდებულებს — ვიყოთ გონიერნი და შორსმჭვრეტელნი



* * *

ძნელბედობის ჟამს (საქართველო დღეს სწორედ ამგვარ მდგომარეობაში იმყოფება), პირველ რიგში გადასაწყვეტი პრობლემებია: მატერიალური დოვლათის შექმნა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; გაუარესებული დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება; მიგრაციის შეჩერება; სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება; ღარიბი მოსახლეობის მატერიალური დახმარება; უმუშევრობის შემცირება; გამოყენებითი მეცნიერების განვითარება; და, რაღა თქმა უნდა, გამუდმებით ზრუნვა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ამ ეტაპზე საჭიროდ არ ვთვლი ეკლესიების დაუსრულებელ შენებას, აი, ძველების შეკეთება კი გადაუდებელ საქმედ უნდა მივიჩნიოთ.

ყოვლად დაუშვებელია ძნელბედობაში მყოფ ქვეყანაში ხელისუფლების წარმომადგენლების, ბიზნესმენებისა და სპორტსმენების ხელფასები ესოდენ დიდი ოდენობით განისაზღვრებოდეს. როგორც ცნობილია, მათი თვიური ხელფასი 5 ათასის და მეტის ფარგლებში მერყეობს, როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ნახევრად მშიერია.

ეს მოურჩენელი სენი წინა ხელისუფლებას ჭირდა და ახალსაც ჭირს. საერთოდ კი: თუ უახლოეს მომავალში თანდათანობით სახელმწიფო საკუთრებაზე არ გადავალთ, ხალხი საბოლოოდ დაკარგავს ყველაფერს.

თანამედროვეობის გამოჩენილი თეორეტიკოსები მძლავრი და მდიდარი სახელმწიფოებისაგან, დაჟინებით მოითხოვენ, ეკონომიკა გადაიყვანონ სახელმწიფო რელსებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უწინასწარმეტყველებენ დაუძლეველ ეკონომიკურ კრიზისს. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ეროვნული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების დონე ძალზე დაბალია, ყოვლად დაუშვებელია კერძო საკუთრების ასეთი ველური ჰეგემონია.

* * *

კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი თავხედი, ფლიდი, თვითნება, მორალურად გახრწნილი სახელმწიფოს მეთაური, როგორიც სააკაშვილი იყო. ერთმა კაცმა სრულიად დაიმონა 3 მილიონი ქართველი. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს თავისი თავის განდიდებისათვის იყენებდა, უგულებელყოფდა ეროვნულ ინტერესებს. სურდა, ყოველი ქართველი პირად მონად ექცია. ამჟამადაც საზღვარგარეთიდან იმუქრება და გვპირდება კვლად მონებად გვაქციოს. თუმცა, მას დასახული ამოცანის (საქართველოში „მაიდანის“ მოწყობა) ერთ-ერთი მოთხოვნა შეუსრულეს — მთავრობის სასახლის წინ აქციის ჩატარების საშუალება მისცეს, სადაც ტრანსპარანტებზე ეწერა „არა კოლაბორაციონიზმს“. თითქოს საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგია ევროკავშირისა და ნატოში გაწევრებისა და თანამშორმლობს ოკუპანტებთან. ამით **სააკაშვილი ცდილობს, ნიადაგი მოამზადოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში განმეორდეს უკრაინული „მაიდანი“ და სააკისტები კვლავ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ეს ანკესი სრულიად გულუბრყვილოდ გადაყლაპა ქართველმა ხალხმა. თბილისის მთელი მოსახლეობა, როგორც ეს მოხდა 2012 წლის 29 სექტემბერს, უნდა გამოსულიყო ქუჩაში და საპროტესტო შეძახილებით გაეძევებინათ ეს მაჩაჩა სააკისტები, ისე რომ, სხვა დროს მსგავსი აქციის ჩატარება არ გაებედათ.** ტუღუშის მიერ მოწყობილი აქციის მონაწილეებს გულში კი არ უნდა ჩაეკრათ ეს ავანტურისტები, არამედ პანჩურის ცემით გამასპინძლებოდნენ. ჩანს, ქართველ ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოუმუშავდა მოვლენებში ღრმად წვდომის უნარი.

* * *

საძართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ნებსით თუ უნებლიედ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან. გრანტის მიღების საფასურად, დემოკრატიას ამოფარებულნი, ანტიქართულ საქმეებს ეწევიან. ესეც შეუმჩნეველი რჩება ქართველ ხალხს და ისინიც თავხედურად ფეხქვეშ თელავენ ეროვნულ ინტერესებს.

ჩვენი დევიზი უნდა იყოს, რა თქმა უნდა, „უარი კოლაბორაციონიზმს“ და ეს მოწოდება უნდა იყოს ყველა იმ სახელმწიფოსადმი, რომელიც უგულებელყოფს საქართველოს ინტერესებს. აგრეთვე ნიადაგი უნდა გამოვაცალოთ ყველა სახის და ფორმის მეხუთე კოლონას, „უარი რუსეთუმეებს“ და ყველა სახის უმეებს; „უარი ფსევდოპოლიტიკოსებს“, რომლებიც ყველაფერზე არიან წამსვლელები (რუსეთუმეობაზე, მეხუთე კოლონიის იარლიყის წოდების მინიჭებაზე), ოღონდაც ხელისუფლებაში მოვიდნენ; „უარი სააკისტებს“. აგრეთვე მარად უნდა გვახსოვდეს — საღი აზრისა და ეროვნული ინტერესების დასაცავად ერთად დგომის ფასი, ქუდზე კაცის გამოსვლის მნიშვნელობა.

* * *

ბუნებრივია, ქვეყნისთვის უმთავრესია ეკონომიკის განვითარება. შეიძლება განვავითაროთ ეკონომიკა, მაგრამ ხალხის უმრავლესობისათვის იგი ნაკლებად სასარგებლო აღმოჩნდეს. ამისათვის საჭიროა, ეკონომიკა სახელმწიფო რელსებზე გადავიყვანთ და ლიბერალიზმი კი არ გამოვაცხადოთ ქართული სახელმწიფოს განმტკიცების საფუძვლად, არამედ დემოკრატიული ეტატიზმი. მსოფლიოს გამოჩენილი მოაზროვნეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ლიბერალიზმი კაცობრიობას კატასტროფისაკენ მიაქანებს. თუ ვეებერთელა და მძლავრ სახელმწიფოებს იგი განუზომელ დარტყმას აყენებს, რას უზამს ერთ ციცქნა საქართველოს?

აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია სოფლად დაინერგოს სახელმწიფო მეურნეობები. ამ სახის მეურნეობა სოფლის მცხოვრებთა მაქსიმალურ ოდენობას ჩააბამს შრომაში, რაც სოფელში მოსახლეობის დაკავების გარანტი იქნება. აგრეთვე წყალში არ ჩაიყრება სოფლის მეურნეობაში ჩადებული ფინანსები. კოლექტივები, ფერმები, კოოპერატივები გარანტიას ვერ მოგვცემენ სოფელში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

ვაჟა ულენტი

კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი თავხედი, ფლიდი, თვითნება, მორალურად გახრწნილი სახელმწიფოს მეთაური, როგორიც სააკაშვილი იყო. ერთმა კაცმა სრულიად დაიმონა 3 მილიონი ქართველი. ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს თავისი თავის განდიდებისათვის იყენებდა, უგულებელყოფდა ეროვნულ ინტერესებს.

◎ პატივისცემა

საქართველოს მეტყევეობის ბერმუხა

მიმდინარე წლის 6 მაისს შესრულდა 111 წელი გამოჩენილი ქართველი მეტყევე მეცნიერის, გეობოტანიკოსისა და ეკოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფესორ ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილის დაბადებიდან.

111 წელი თითქოს არ უნდა იყოს საიუბილეო წელი, მაგრამ მისი სამეცნიერო სკოლის საკმაოდ შეთხელებული წარმომადგენლები (პროფესორები ე.ლობჟანიძე, თ.ურუშაძე, რ.გოცირიძე, რ.ჩაგელიშვილი, ა.ჩაფიძე გ.ვაჩნაძე, თ.კანდელაკი, გ.გაგოშიძე და სხვა) ასე არ ფიქრობენ. მათი ფიქრით, ვასილ გულისაშვილი იმდენად დიდი მეცნიერი, პედაგოგი, აღმზრდელი, ტყისა და საერთოდ გარემოს ქომაგი იყო, რომ მისი დაბადების დღის ყოველწლიურად აღნიშვნა ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამ დღეებში გამართული კოლოკვიუმი ვ.გულისაშვილის ოდაბადეში – საგარეჯოსა და გიორგიწმინდაში.

სოფ.გიორგიწმინდას საშუალო სკოლაში, რომელიც დღეს ვ.გულისაშვილის სახელს ატარებს, საქმიანი სჯაბაასი გაიმართა საქართველოს მთის ტყეების როლსა და მნიშვნელობაზე, დაცვის აუცილებლობაზე, სხვადასხვა რჯულის ბიზნესმენებისა და ე.წ.ინვესტირებისაგან.

თბილისიდან ჩასულ მეტყევე მეცნიერთა და გარეჯელ ძველი და ახალი თაობის მეტყევეთა შორის გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება. საქართველოს მთის ტყეების დღევანდელ საჭირბოროტო პრობლემებზე.

გადაწყდა, გიორგიწმინდის ვ.გულისაშვილის სახ. საშუალო სკოლის ტერიტორიაზე გამოიყოფა ფართობი ტყის ჯიშთა სანერგის გასაშენებლად, ხოლო სკოლაში გაფართოვდება ბიოლოგიური კაბინეტი, რომელიც შეივსება ვ.გულისაშვილის ხელდებული სხვადასხვა ხასიათის სამუზეუმო ექსპონატებით.

რ. ჩაგელიშვილმა, ეროვნული კოორდინატორის ჯგუფის წევრთა სახელით, გარეჯელ მეტყევეებსა და სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებულ კოლეგებს მოუწოდა, გააძლიერონ ძალისხმევა ტყეების მოვლა-დაცვაზე, შვილებისათვის მისი შემონახვის აუცილებლობაზე.

კოლოკვიუმის მონაწილეებს სამადლობელი სიტყვით მიმართა და მადლიერება გამოთქვა სკოლაზე ზრუნვისათვის ვ.გულისაშვილის სახელობის გიორგიწმინდის საშუალო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა მერი ჭიაბერაშვილმა.

შეხვედრას თაოსნობა გაუწიეს ვ.გულისაშვილის მოწაფეებმა – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სატყეო დარგის ეროვნულმა კოორდინატორმა აკად. რევაზ ჩაგელიშვილმა და დამსახურებულმა გარეჯელმა მეტყევემ, აკადემიურმა დოქტორმა ანზორ ჩაფიძემ .

აკაკი ფანჩულიძე

◎ პრემიერის ინიციატივა

სტრატეგიული ობიექტი სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს!

ჩვენი ქვეყნის მთავრობას სტრატეგიული ობიექტების ნუსხის დამტკიცება დაევალა, რაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა გახლავთ. უკვე ცნობილია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების ნუსხას სპეციალური სამუშაო ჯგუფი გამოავლენს. რა კრიტერიუმით განისაზღვრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქონების სტატუსი, რომელი ობიექტები მოხვდება განახლებულ ნუსხაში, ან რას ნიშნავს ცნება „სტრატეგიული ობიექტი“ – ამ საკითხებზე მსჯელობა და კამათი დღემდე მიმდინარეობს. ამ ეტაპზე მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ კრიტერიუმები ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით განისაზღვრება, ხოლო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსი მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას მიენიჭება.

რომელი ობიექტები შეიძლება შევიდეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტთა სიაში – ამის თაობაზე გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი ვაჟა ბერიძე:

არავინ იცის, როგორ მოიქცეოდა „თელასის“ ხელმძღვანელობა, რუსული ტანკები თბილისისკენ რომ დაძრულიყვნენ...

– საკითხი ასე უნდა დავსვათ: რას ნიშნავს სტრატეგიული ობიექტი, როგორია მსოფლიო, უცხოური პრაქტიკა და როგორ გადაწყვიტეს ეს საკითხი სხვა ქვეყნებში? ჩვენ ველოსიპედის ხელახლა გამოგონებას ნამდვილად ვერ შევძლებთ, მაგრამ ვიდრე საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, ვიდრე სტრატეგიული ინტერესები აქვს, ვიდრე გვაქვს საკუთარი უსაფრთხოების სისტემა და უშიშროების კონცეფცია, ბუნებრივია, უნდა გვქონდეს ჩამონათვალი და წრე იმ ობიექტებისა, რომელიც ამ უსაფრთხოებას განაპირობებს და განსაზღვრავს. კლასიკური გაგება სტრატეგიული ობიექტისა ასეთია: ეს არის სამრეწველო და სამხედრო ობიექტი, რომლის დაუფლებაც საომარი მოქმედებების დროს საბოლოო შედეგის განმსაზღვრელი ხდება. აქედან გამომდინარე, სტრატეგიული ობიექტების ფლობა და განკარგვა მნიშვნელოვნად განაპირობებს ნებისმიერი ქვეყნის მომავალს, მის პერსპექტივებს.

– რა შეიძლება მივაკუთვნოთ სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალს?

– თუ საუბარია ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, აქ იგულისხმება ობიექტები, რომელთა ფლობაც განაპირობებს ეროვნული უსაფრთხოების ბედს. აქედან გამომდინარე, ასეთ ობიექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ რკინიგზა, მაგისტრალური გაზსადენები, ელექტროსისტემა, კავშირის სისტემები, ნავმისადგომები, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები და ა.შ... სხვათა შორის, ამ საკითხზე გამართული დისკუსიის დროს ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ თქვა: ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, საომარი მოქმედებების დროს წისქვილკომბინატიც მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტის როლს ასრულებსო, რაც სიმართლესთან ახლოსაა. ნებისმიერი სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტი უეჭველად გახდება სამიზნე ორი სახელმწიფოს ინტერესთა შეჯახების შემთხვევაში. მით უმეტეს, მნიშვნელოვანია ეს საქართველოში – ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ არ გამხდარა ევროკავშირის წევრი და ამ მიზნისაკენ საკმაოდ ნელა, ზიგზაგებით მიდის. ამასთან, საქართველოში ძალიან ბევრი გლობალური მოთამაშის ინტერესები იკვეთება, ესენია: აშშ, ევროპა, რუსეთი, თურქეთი და ა.შ... აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად გვჭირდება სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალი და მათი განმარტება, რაც ამჟამინდელ კანონში არ არსებობს.

– თუმცა, ადრე კანონში სტრატეგიული ობიექტის ცნებაც იყო განსაზღვრული და ამგვარი ობიექტების სიაც არსებობდა.

– დიახ, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტის ცნებაც არსებობდა და ამ ობიექტების ჩამონათვალიც. 2008 წელს ეს ჩამონათვალი შეამცირეს და მხოლოდ ხუთ პუნქტამდე დაიყვანეს, თავად ტერმინი „სტრატეგიული ობიექტი“ ოფიციალური სახელმწიფო დოკუმენტებიდან ამოიღეს და იგი „განსაკუთრებული მნიშვნელობის სახელმწიფო ქონებით“ შეცვალეს, ხოლო 2010 წელს სტრატეგიული ობიექტის ცნება რატომღაც, საერთოდ გააუქმეს! ახლანდელი ხელისუფლება ღარიბაშვილის მეთაურობით მიიჩნევს, რომ სტრატეგიული ობიექტების განსაზღვრა და მათი ნუსხის შედგენა აუცილებელია, რა თქმა უნდა, მეც ვეთანხმები ამ თვალსაზრისს.

– არანაკლებ საკამათოა თემა – უნდა გასხვისდეს სტრატეგიული ობიექტები უცხოელებზე, თუ ეს დაუშვებელია?

– ამ ტიპის ობიექტები შეიძლება გასხვისდეს უცხოელებზე, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ძველი გამოცდილება: გავიხსენოთ თუნდაც ის პერიოდი, როცა ბენდუქიძის მთავრობა ყიდდა გაზსადენს, რომლის ერთადერთი მყიდველი მაშინ რუსეთი იყო. ჩვენი ამერიკელი პარტნიორების ზეგავლენით ეს ობიექტი არ გაიყიდა. მეტიც, ამერიკელებმა თანხაც მოგვცეს იმისათვის, რომ იგი შეგვეკეთებინა. ჩვენს რეგიონში ყველა სახელმწიფო თავისი ბალანსის შენარჩუნებას ცდილობს – რუსეთიც, სომხეთიც და აზერბაიჯანიც და არ მესმის, შენი კოზირი რუსეთს რატომ უნდა გადაულოცო, მით უმეტეს, როცა ასეთი წინააღმდეგობრივი ურთიერთობა გაქვს მასთან? არანაკლებ მეტყველი მაგალითია „საქართველოს რკინიგზის“ აქციების გატანა საფონდო ბირჟაზე. ჩვენი რკინიგზის ერთადერთი რეალური მყიდველი მაშინაც რუსეთი იყო – რუსეთი, რომელსაც ყოველთვის სურდა და ახლაც სურს აკონტროლოს სიტუაცია კავკასიაში. თანაც, ამ ქვეყნის განსაკუთრებული ინტერესის საგანი ყოველთვის იყო და არის საერთაშორისო გაზსადენები და ნავთობსადენები. თუნდაც ახლო წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გვქონდეს იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომელიც ამ ეტაპზე სტრატეგიული მნიშვნელობისაა, ბუნებრივია, უნდა გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებაც.

– ამ საკითხზე მსჯელობისას ექსპერტები ისსენებენ 2008 წელს, როცა საქართველოს მთავრობას ბევრმა კერძო ინვესტორმა არ დაუთმო თავისი ობიექტი...

– სხვათა შორის, ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ მოჰყავთ „თელასის“ მაგალითი: მიუხედავად იმისა, რომ ეს რუსული კომპანიაა, ომის დროს ნორმალურად მუშაობდა და არც კი უცდია სიტუაციის პარალიზება, მაგრამ აქ ჩვენ გვავიწყდება ერთი რამ: აგვისტოს ომი მხოლოდ ხუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და რუსული ტანკები თბილისისაკენ რომ წამოსულიყვნენ, არავინ იცის, „თელასის“ მენეჯმენტი, მისი ხელმძღვანელობა როგორ მოიქცეოდა. ასე რომ, ცალსახად მსჯელობა მსგავს თემებზე საკმაოდ რთულია.

– თუმცა, აქსიომაა, რომ არ შეიძლება დაპირისპირებულ ქვეყანას გადაულოცო ელექტრონერგია, წყალი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტები...

– არა მხოლოდ დაპირისპირებულ ქვეყანას, მეგობარ ქვეყნებთანაც შენი ეროვნული ინტერესების კარნახით უნდა მოქმედებდე. ამის კარგი მაგალითია ისრაელისა და აშშ-ის ურთიერთობა: მათი მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიო არენაზე კარგად ჩანს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ისრაელი ძალიან კარგად იცავს თავის ინტერესებს. სტრატეგიული ობიექტი რის სტრატეგიული ობიექტია, თუ ის საიმედო ხელში არ გეგულება? მით უმეტეს, ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრი ჯერ კიდევ არ გამხდარა. როდესაც ამ ორგანიზაციის წევრები გავხდებით, მაშინ სტრატეგიული ობიექტის ცნება სულ სხვა დატვირთვას შეიძენს და ყველაფერი სხვაგვარად იქნება, მაგრამ ამ მიზნის მიღწევამდე, ჩემი აზრით, ცოტა დრო არ არის დარჩენილი.

ხათუნა ჩიგოგიძე,
BusniessPressNews

რას გვიჩვენებს კვლევის შედეგები?..

პოლიტიკური ციებ-ცხელება პარტიებში

თვითმმართველობის **არჩევნებამდე ცოტაღა რჩება, მმართველი გუნდი გამარჯვებისთვის ემზადება, ოპოზიციური ძალები კი — მეორე ტურისთვის.**

15 ივნისის არჩევნები რა შედეგით დასრულდება, ამის პროგნოზი ყველა პოლიტიკოსს უჭირს, მაგრამ ოპოზიციონერები მეორე ტურის ჩატარებაზე აპელირებენ და NDI-ის კვლევის შედეგებით მანიპულირებენ. ხელისუფლება კი, მეორე ტურის ვერანაირ წინაპირობას ვერ ხედავს და ნეიტრალური პოზიციის მქონე მხარდამჭერების გადაბირებაზე მუშაობას გეგმავს.

თუ რამდენად მოახერხებს მმართველი გუნდი „მერყევი“ ამომრჩეველის, ანუ გამოკითხულთა 19 პროცენტის კეთილგანწყობის მოპოვებას, ამის თქმა რთულია, მაგრამ ხვალ რომ თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა 48 პროცენტმა უკვე იცის, რომ მხარს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაუჭერდა.

კერძოდ, კვლევის მიხედვით, ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდეს, მასში მონაწილეობას გამოკითხულთა 60 პროცენტი მიიღებდა. 48 პროცენტი ხმას მმართველ გუნდს მისცემდა, 12 პროცენტი „ნაციონალურ მოძრაობას“, 4-4 პროცენტი „ქდმ“-სა და „ლეიბორისტულ პარტიას“, ხოლო 19 პროცენტს არჩევანი გაკეთებული არა აქვს, 3 პროცენტი მხარს არც ერთ პარტიას არ უჭერს, შეკითხვაზე უარს კი 8 პროცენტი აცხადებს.

ამას გარდა, NDI-ის კვლევის თანასმად ირკვევა, რომ მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, გამოკითხულთა 38 პროცენტი დავით ნარმანიას აქვს, გია გაჩეჩილაძეს 26 პროცენტი, კახა კუკავას 24 პროცენტი, ნიკა მელიას კი 17 პროცენტი.

კვლევის შედეგებს ნიკა მელია „ნორმალურად“ უყურებს, დავით ნარმანია მეორე ტურს გამორიცხავს, გია გაჩეჩილაძე კი კვლევის შედეგებით ამაყობს.

ნიკა მელიას განცხადებით, კვლევის ჩატარების შემდეგ, მან 140 შეხვედრა გამართა, საარჩევნო კამპანიას ოფიციალურად იწყებს და რეიტინგის გაზრდას ელის.

„ვერც ერთი ადამიანი ვერ იტყვის, თუ ვინ იქნება გამარჯვებული. ეს ყველაფერი დამოკიდებულია თბილისელებზე. კვლევამ აჩვენა, რომ ხალხი ხელისუფლებით იმედგაცრუებულია. მათი რეიტინგი შემცირებულია, რაც ქვეყნის განვითარებისთვის სახარბიელო არ არის. კვლევას ნორმალურად ვუყურებ და საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, რადგან სამწუხაროდ, მმართველ გუნდს რაიმეს გაკეთების უნარი და კომპეტენცია არა აქვს“, — განუცხადა for.ge-ს მელიამ.

მელიას მსგავსად, საკუთარ წარმატებაში დარწმუნებულია დავით ნარმანია, რომელიც ამბობს, რომ რეიტინგები მეორე ტურის არანაირი წინაპირობა არ არის.

მისი თქმით, წინასაარჩევნოდ 150-მდე შეხვედრა ჩატარდება და საზოგადოება პროგრამას ადგილზე გაეცნობა.

„ჩვენს შესაძლებლობებში დიდი ხანია, დარწმუნებული ვარ. ის ადამიანები, რომლებიც ჯერჯერობით, კითხვაზე პასუხს არ სცემენ, ჩვენი პოტენციური მხარდამჭერები არიან. მას შემდეგ, რაც საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევა, ჩვენი რეიტინგი სულ უფრო მეტად მოიმატებს. დამაჯერებელი და ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი გვექნება“, — აღნიშნა ნარმანიამ, რომლის მსგავსად რეიტინგის ზრდას ელის გია გაჩეჩილაძე.

„მწვანეების“ ლიდერი კვლევის შედეგს რეალისტურს უწოდებს და for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ არჩევნებში მეორე ტური მასსა და დავით ნარმანიას შორის ჩატარდება.

„ამომრჩეველს არასოდეს ვატყუებთ და სასიხარულოა, რომ დაფინანსების მიღმა მყოფ პარტიას, ასეთი შედეგი აქვს. ეს საზოგადოების სიმწიფეზე მეტყველებს“, — აღნიშნავს გაჩეჩილაძემ, რომლის საპასუხოდ, ნაციონალი აკაკი ბობოხიძე ინტერესდება, კვლევაში რესპოდენტები პოზიციის დაფიქსირებისას „მწვანეების“ ლიდერ გია გაჩეჩილაძეს გულისხმობდა, თუ „უცნობ“ გია გაჩეჩილაძეს.

for.ge-სთან საუბარში საუბარში აკაკი ბობოხიძე ხელისუფლებას თავის ამომრჩეველთან ერთად აკრიტიკებს და ამბობს, რომ მასა მოდას არის აყოლილი, „პოპულალური“ „ქართული ოცნებაა“ და ხმას მას აძლევენ, მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, თუ რატომ უჭერს მხარს კოალიციას.

მისი შეფასებით, არც ნარმანია და არც მისი ამომრჩეველი გონზე არაა, თუ რას უპირებენ ხვალ თბილისს.

„თუ საქართველოს მოსახლეობა ვერ ხედავს, რომ ქვეყანა უკან მიდის, ჩვენი საშველი არ ყოფილა! ხალხი გვეთანხმება, რომ ქვეყანა გაჩერდა, მაგრამ არჩევანს მაინც „ქართულ ოცნებაზე“ აკეთებენ, რაც ქვეყნის მიმართ უპასუხისმგებლობაა, რადგან შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა“ არ მოგწონდეს, მაგრამ ხელისუფლებას შენიშვნა უნდა მისცე“, — აღნიშნავს ბობოხიძე, რომელსაც კითხვით მივმართეთ — „რატომ უნდა დაუჭიროს ამომრჩეველმა მხარი ყოფილ სახელისუფლებო პარტიას?“.

ჩვენს საპასუხოდ, ბობოხიძე აცხადებს, რომ ქვეყანა ჭაობიდან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გამოიყვანა, რომელმაც უზარმაზრი შეცდომები დაუშვა, ფეხიც წაიმტვრია, მაგრამ არის ძალა, რომელმაც გამარჯვების და მარცხის ფასი იცის.

„ქართული ოცნება“ ჩვენს შეცდომებს ქსეროასლივით იმეორებს, ჭკუას ვერ სწავლობს და სანამ ფეხს არ წაიმტვრევს, ვერც ისწავლის. სამწუხაროდ, ისინი საქმის კეთებაში არ დაგვემსგავსნენ და შეცდომებს გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით იმეორებენ“, — აცხადებს ბობოხიძე, რომლის პათოსს იზიარებენ გოკა გაბაშვილი და გიორგი ვაშაძე.

ვაშაძე მეორე ტურზე აპელირებს, გაბაშვილი კი საზოგადოებაში არსებულ იმედგაცრუებაზე.

როგორც for.ge-სთან გაბაშვილი აღნიშნავს, „ოცნების“ პოლიტიკის მიმართ იმედგაცრუება დიდია და ხელისუფლებას რეიტინგის ძალიან დიდი ვარდნა აქვს.

„ოპოზიციაში მთავარი პოლიტიკური ძალა ისევ ჩვენ ვართ, რაც მოტივაციას გვაძლევს, რომ მეორე ტურებისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ“, — აცხადებს გაბაშვილი. ვაშაძე კი ამბობს, რომ მთავრობამ „გაჩერებული“ საქართველოს არსებობა NDI-ს არ უნდა დააბრალოს.

ვაშაძის პროგნოზით, თითქმის ყველა რაიონში იქნება სერიოზული ბრძოლა და მეორე ტური.

„გამარჯვების შანსი გვაქვს, რადგან ეს კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლების რეიტინგი ეცემა“, — განუცხადა for.ge-ს ვაშაძემ.

ოპონენტების საპასუხოდ, მმართველ გუნდში აცხადებენ, რომ საპანიკო არაფერია და მათ „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, 90-პროცენტიანი რეიტინგი არ სჭირდებათ.

გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს გიორგი ცაგარეიშვილს არ ჰგონია, რომ მეორე ტური ჩატარდება. მისი თქმით, საქართველოს ისეთი ლიდერები აღარ ჰყავს, როგორებიც იყვნენ შევარდნაძე, აბაშიძე და საკაშვილი.

„კარგია, რომ რეიტინგებში 90-პროცენტიანი მონაცემები აღარ ჩანს. მშვენიერი რეიტინგია, რომელიც დაფიქრების საშუალებას გვაძლევს. ამას კრიტიკულად უნდა შევხედოთ და არაფერია საპანიკო. 35 პროცენტამდე ელექტორატი მერყევია, რომელზეც ყველამ ძალამ უნდა იმუშაოს. მეტი შესაძლებლობა გვაქვს, რომ მერყევი ამომრჩეველი ჩვენსკენ მოვიზიდოთ. არავინ არ ფიქრობს, რომ 80 პროცენტს მივიღებთ. უპირობო გამარჯვება არ გვჭირდება“, — ამბობს ცაგარეიშვილი, რომლის მსგავსს პოზიციაზეა მისი თანაგუნდელი ვიქტორ დოლიძე.

კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მეორე ტური არ ჩატარდება, მაგრამ თუ ჩატარდება, არც ეს არის ტრაგიკული.

თანაგუნდელების მსგავსად, კვლევის შედეგებში საპანიკოს ვერაფერს ხედავს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე, მაგრამ ის კვლევის შედეგების ცდომილებაზე ამახვილებს ყურადღებას.

დეპუტატის განცხადებით, ხშირად ხდება, რომ მაჩვენებლები რეალურ შედეგს არ ემთხვევა.

„სამწუხაროდ, ასე იყო 2012 წლის არჩევნებამდეც. კვლევის შედეგების ცდომილება დიდია. კარგია, რომ ვლიდერობთ და დარწმუნებული ვარ, პროცენტი გაცილებით მაღალი იქნება, რადგან კამპანია ახლა დავიწყეთ. მართალი გითხრათ, ნაციონალების 12-პროცენტიანი რეიტინგი მაღალი მეჩვენება“, — დასძინა კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერობის კანდიდატები აქტიურ საარჩევნო კამპანიას უკვე ეწევიან. მმართველი პარტიისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დასახელებულია, 16 მაისამდე კი პარტიები საარჩევნო სიებს და პირველ ნომრებს წარადგენენ.

თეონა მანაგაძე

◎ სიახლე მთაში

დუშეთის რაიონში რამდენიმე მასშტაბური პროექტი უკვე განხორციელდა

(მეოთხე გვერდიდან) **— რაც შეეხება სტიქიით დაზარალებულებსა და ლტოლვილების პრობლემებს. მათ დასახმარებლად გამგეობის ბიუჯეტში ფინანსები გათვალისწინებულია?**

— რა თქმა უნდა! დუშეთის რაიონში სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, კერძოდ, შენობების სახურავების აღსადგენად ინფრასტრუქტურის სამინისტრომ სამი მილიონი ლარი გამოყო. ამ მიმართულებით გამგეობამ საკმაოდ მობილურად იმუშავა. მაგალითად, ზემო მლეთაში ლტოლვილებისთვის, მთავრობასთან შეთანხმებით შესაბამისი თანხა უკვე გამოყოფილია. ამ ეტაპზე, მოსახლეობამ მიმდებარე ტერიტორიაზე, ათი ათასი ლარის ფარგლებში, სახლები თავად უნდა მოიძიონ, რომელსაც გამგეობა დააფინანსებს. ამ მიმართულებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იგეგმება. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ათსართულიანი კორპუსის მშენებლობის დასასრულებლად თანხა გამოყო, რომელიც ანალოგიურ პრობლემას ყველა ადამიანისთვის გადაჭრის. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკმა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის განსავითარებლად 30 მილიონი გამოყო. აქედან დაახლოებით, 8-10 მილიონი დუშეთის რაიონის განსავითარებლად დაიხარჯება. კერძოდ, ქალაქში მისასვლელი გზების, სახლებისა და ძველი დუშეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება იგეგმება. ჩვენი სურვილია, ძველ დუშეთში ილია ჭავჭავაძის სასამართლოს შენობა აღდგეს, რომელიც დღეს კერძო საკუთრებაა. ამ მიმართულებით ერთ წელზე მეტია, მესაკუთრესთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, დუშეთის გამგეობა მზადაა, შესაბამისი თანხაც გადაიხადოს, თუმცა, სამწუხაროდ, მფლობელები საკმაოდ დიდ ციფრს ასახელებენ. იმედი მაქვს, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება!

— ცნობილია, რომ დუშეთის გამგეობა კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული კომპლექსის სახელმწიფო ბალანსზე დაბრუნებას ცდილობს.

— დიახ, ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კერძო საკუთრებაში არსებული სპორტული კომპლექსის შესაძენად თანხა გამოგვიყო. საკმაოდ ლამაზი და კარგად გაკეთებული სპორტკომპლექსია, რომელსაც საჭიდაო დარბაზი, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აქვს. ამ შემთხვევაში მფლობელებთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რადგან გაყიდვის სურვილი მათაც აქვთ. ახალგაზრდებისთვის კიდევ რამდენიმე პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ... გვინდა, რაიონში ყველა ბიბლიოთეკა აღვადგინოთ. უახლესი წიგნების შეგროვება უკვე დავიწყეთ, ბიუჯეტში შესაბამისი თანხაც გამოყოფილია და ახლა დახარისხების პროცესი მიმდინარეობს. პარალელურად, ინტერნეტის დაქსელვის სამუშაოები ხორციელდება. რამდენიმე ფიჭურმა კომპანიამ ქალაქ დუშეთსა და სოფლებშიც ინტერნეტის პრობლემის მოგვარების ვალდებულება აიღო. ჩვენი მიზანია, დუშელი ახალგაზრდები დედაქალაქში სწავლის გაგრძელების შემდეგ, კონკურენტუნარიანები გახდნენ. სხვათა შორის, სტუდენტებისთვის დუშეთი-თბილისის მიმართულებით უფასო ავტობუსებიც დავნიშნეთ, უფასო ტრანსპორტი ხორხი-გუდამაყრის მიმართულებითაც დაინიშნა კვირაში ერთხელ, რათა მოსახლეობამ პროდუქტის რეალიზება შეძლოს.

— როგორც რაიონის მაჟორიტარი, მოსახლეობას ხშირად ხვდებით?

— რა თქმა უნდა, ჩემთან შეხვედრის პრობლემა არც ერთ მოსახლეს არ აქვს. უამრავ ინფორმაციას პირადად მათგან ვიღებ, თანაც ყოველთვის იქ ვარ, სადაც რამე კონკრეტული პრობლემა ჩნდება. დამეწყრილ რეგიონებშიც მუდმივად ჩავდივარ.

ზაზა ბერიძე



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველოში

მხარეების ყურადღების ცენტრშია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია და კრიზისი უკრაინაში

13 მაისს თბილისში იმყოფებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი. ვიზიტი საქართველოში იყო მისი ტურნეს დასკვნითი ეტაპი სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში. ოლანდი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს, აგრეთვე საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც მოუწევთ, მიიღონ მონაწილეობა ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საფრანგეთის პრეზიდენტი საქართველო-საფრანგეთის ეკონომიკურ ფორუმზე სიტყვით გამოვიდა.

საქართველოს მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების მთავარი თემა იყო საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია, აგრეთვე რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები. თავად ოლანდმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ ჩამოვიდა საქართველოში, რათა გამოხატოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების გაფორმება. ჯერ კიდევ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, დაადასტურა, რომ მხარეებმა განიხილეს საკითხი „ნატოში საქართველოს შესვლის შესახებ“. ალასანიამ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე საუბარი იყო „საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლების შესახებაც“.

შეგახსენებთ, რომ, აპრილში, ვაშინგტონში ვიზიტის დროს, ალასანიამ შესთავაზა ნატოს, განათავსოს „თავდაცვითი საშუალებები“ საქართველოს ტერიტორიაზე. მინისტრის სიტყვებით, უკრაინის კრიზისის ფონზე ასეთი ზომა აუცილებელია, ვინაიდან საშუალებას მოგვცემს, „დავიცვათ საქართველოს თავისუფლება“.

ლოში ჩამოსვლამდე, სომხეთში ვიზიტის დროს, საფრანგეთის პრეზიდენტმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, რომ მისი ვიზიტი რეგიონში „არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული“. „ჩვენი მიზანია, – ხაზგასმით აღნიშნა ოლანდმა, – ხელი შევუწყოთ ურთიერთობების განვითარებას ევროპასა და დამოუკიდებელ პარტნიორებს შორის“.

ნატო და „ადეკვატური მხარდაჭერა“

როდესაც სტუმარს ესალმებოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მისი ვიზიტი საქართველოში „აღიქმება, როგორც საფრანგეთის მხარდაჭერის ნათელი დემონსტრაცია ჩვენი ქვეყნის ევროპული არჩევანისა“.

როდესაც ერთობლივ ეკონომიკურ ფორმზე გამოდიოდა, ფრანსუა ოლანდმა დაადასტურა, რომ მისი ვიზიტი საქართველოში არის მისი ქვეყნის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი მისწრაფებისა – „გახდეს ევროპული ოჯახის წევრი“.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიტყვებით, საქართველოს ევროპული მისწრაფებების მხარდაჭერის გარდა, სექტემბერში ნატოს სამიტზე უელსში საქართველოს მხარე „ელოდება პარტნიორების ადეკვატურ მხარდაჭერას“ ქვეყნის ატლანტიკური ინტეგრაციის საქმეშიც.

შეგახსენებთ, რომ ოფიციალური თბილისი არაერთგზის მიმართავდა დასავლეთის ქვეყნებს მოწოდებით, მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოსთვის მაპის მინიჭების შესახებ. მაპი – ეს არის ალიანსში ახალი წევრების მიღების ოფიციალური პროგრამა. მასში მონაწილეობის მიღება მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქვეყანას, მოემზადოს ევროატლანტიკურ კავშირში შესვლისთვის, თუმცა, იგი არ არის ამის გარანტია. აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანა-ასპირანტს, გარდა საქართველოსი, ესე იგი ბოსნიასა და ჰერცოგოვინას, ჩერნოგორიასა და მაკედონიას, აქვს მაპი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ფრანსუა ოლანდს არ შეეძლო, ეთქვა „რაიმე კონკრეტული“ იმის შესახებ, თუ რას უნდა ელოდოს საქართველო უელსის სექტემბრის სამიტისგან. მინისტრმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრებს შორის „მიმდინარეობს კონსულტაციები... იმის შესახებ, თუ როგორ აისახოს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ნატოს გადაწყვეტილებებში“.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, რომელიც ესწრებოდა საფრანგეთის პრეზიდენტის გაფართოებულ შეხვედრას მთავრობის წარმომადგენლებთან და საროს მონაცემებით, კონფლიქტის დროს ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ამ ქვეყნის ერთ მილიონამდე მცხოვრებლები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები. არაოფიციალური მონაცემებით კი, დაპირისპირების დროს დაიღუპა ათასზე მეტი კაცი.

„ჩემთვის... მნიშვნელოვანი იყო გამეგო, რომ თქვენ აგზავნით კონტინგენტს ცენტრალურ აფრიკაში. ეს – კარგი დეტალია, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა შეუძლია, გააკეთოს საქართველომ ევროკავშირის ფარგლებში – ჯერ როგორც პარტნიორმა, ხოლო უფრო ხანგრძლივ პერსპექტივაში – როგორც წევრმა. იმის წინ, თუ როგორ იქნება ეს საკითხი ჩართული დღის წესრიგში, ჩვენ, რასაკვირველია, უნდა გავიაროთ ამ პროცესის ყოველი ეტაპი“, – განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელთან მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრაზე.

მოგვიანებით ოლანდმა გვირგვინებით შეამკო საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების მემორიალი.

კრიზისი უკრაინაში

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, რომელიც საქართველოს მხარემ წარმოადგინა, გარდა საფრანგეთ-საქართველოს თანამშრომლობის საკითხებისა, საფრანგეთის პრეზიდენტის შეხვედრებზე ქართველ პოლიტიკოსებთან განიხილებოდა კრიზისი უკრაიაში, თუმცა, დაწვრილებით ცნობებს ამასთან დაკავშირებით ოფიციალური წყაროები არ იტყობინებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ამასთან დაკავშირებით ოლანდს მოუწია გაეკეთებინა კომენტარები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის. ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც ჟურნალისტებმა დასვეს საქართველოს და საფრანგეთის პრეზიდენტების ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, იყო საკითხი იმის შესახებ, თუ საფრანგეთი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთთან ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, უკრაინის კრიზისის პერიოდში რატომ არ ავლენს წინანდელ „სწორხაზოვნობას“ და „სიმკაცრეს“ მოსკოვთან დაკავშირებით.

საფრანგეთის პრეზიდენტმა უარყო ეს მტკიცება, განმარტა,რომ 2008 წლის აგვისტოში საფრანგეთი იყო ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა, რის შედეგადაც მისი მონაწილეობა მოლაპარაკებაში ბუნებრივი იყო. მიუხედავად ამისა, განაგრძო ოლანდმა, მიუხედავად მაშინ მიღწეული შეთანხმებისა, რუსეთი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპირებას. საფრანგეთის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ პარიზი მონაწილეობას ღებულობს და მხარს უჭერს ევროკავშირის ყველა გადაწყვეტილებას უკრაინასთან დაკავშირებით და რომ საფრანგეთმა, ევროკავშირთან ერთად დაგმო „რუსეთის პრინციპი“ – გამოიყენოს ყველა საშუალება დესტაბილიზაციისთვის ტერიტორიული უპირატესობის მიღწევის სახელით.

ოლანდმა გაიხსენა სანქციებიც, რომლებიც შემოიღო ევროკავშირმა, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ შექმნილ სიტუაციაში რეგიონში უსაფრთხოების მიღწევისა და უზრუნველყოფისთვის აუცილებელია რუსეთისადმი „მკაცრი მიდგომა“. მისი სიტყვებით, თუ უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 25 მაისს უნდა გაიმართოს, გაჩნდება პრობლემები, მასში ევროკავშირის სანქციები რუსეთთან დაკავშირებით უნდა გაფართოვდეს.

შეხვედრის შედეგების შეჯამების დროს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის პრეზიდენტს „ძალიან სერიოზული“ მხარდაჭერისთვის, რომელიც გაუწია საქართველოს რუსეთთან ომის დროს, რის შედეგადაც, მისი სიტყვებით, „საქართველო დარჩა, როგორც ქვეყანა“. ამავე დროს მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ „2008 წელს საფრანგეთის შუამდგომლობით მიღწეული შეთანხმება ბოლომდე არ არის შესრულებული“. კერძოდ, რუსეთი არ ასრულებს მის იმ პუნქტებს, რომელთა თანახმადაც რუსეთის ჯარები გაყვანილ უნდა ყოფილიყვნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე. ამას გარდა, რუსეთმა დღემდე არ უზრუნველყო საერთაშორისო მეთვალყურეებისთვის ოკუპირებულ რეგიონში დაპირებული შეშვება.

როგორც საქართველოს ლიდერმა აღნიშნა, სიტუაცია, რომელიც ჩამოყალიბდა უკრაინაში 2014 წელს, განპირობებულია იმ პოლიტიკის განმეორებით, რომელსაც 2008 წელს ახორციელებდა რუსეთი საქართველოსთან დაკავშირებით. ეს პოლიტიკა გიორგი მარგველაშვილმა დაახასიათა, როგორც „პრივილეგირებული ინტერესების სავარაუდო სფერო“. სწორედ მას, კვლავ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, „სამწუხაროდ, ახორციელებს რუსეთის ფედერაცია, და საქართველო იყო ამ პროცესის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი“. „ჩვენ, – განაგრძო მან, – ჩვენს მეგობრებთან ერთად გვწამს, რომ ეს პოლიტიკა ვერ ჰპოვებს თავის გაგრძელებას და გაღრმავებას“.

„განსაკუთრებული ინტერესის დადასტურება“

13 მაისს საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩამოვიდა ევროსაბჭოს პრეზიდენტიც ჰერმან ვან რომპეი. მას მოუწევს შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, შეხვედრებზე განიხილავენ ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებას, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესს და უშიშროების საკითხებს.

„ევროსაბჭოს ხელმძღვანელის ვიზიტი საქართველოსადმი ევროკავშირის განსაკუთრებული ინტერესის დადასტურებაა და ავლენს ჩვენი ქვეყნისთვის მტკიცე მხარდაჭერას ევროკავშირის მხრიდან“, – ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 13 მაისის ცნობაში. ევროპელი ლიდერების ვიზიტები საქართველოში წინ უსწრებს ქვეყნის მიერ ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, რასაც საქართველო და მოლდოვა ივნისში გააფორმებენ.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდი არ შეუშვეს ისრაელში უკრაინაში კრიზისისა და ჯაშუშობის შიშის გამო

გადაწყვეტილება რუსეთის ხომალდისთვის უარის თქმის შესახებ, შესულიყო ისრაელის ნავსადგურში, მიიღო ისრაელის თავდაცვის სტრუქტურების ხელმძღვანელობამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ნეიტრალიტეტის პოლიტიკის ფარგლებში უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ კიდევ ერთხელ არ გააღიზიანონ ამერიკის შეერთებული შტატები. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ გვიან გაიგო და შეშფოთება გამოთქვა.

* * *

მერკელი დათანხმდა უკრაინელი სეპარატისტების მონაწილეობაზე ეუთოს მრგვალ მაგიდაში ძალადობაზე უარის თქმის პირობით

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, ვისი აზრიც ევროკავშირში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, დათანხმდა იმის აუცილებლობაზე, რომ აღმოსავლეთის რეგიონების წარმომადგენლებმა მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებაში უკრაინის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. კიევში მართავენ საკუთარ მრგვალ მაგიდას, იწვევენ დალოგისთვის ყველა პოლიტიკურ ძალას. ამავე დროს ძალოვანი ოპერაცია „ტერორისტების“ წინააღმდეგ გრძელდება.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარყო პუტინის სიტყვები, გამოაძვეყნა რუსეთის ფედერაციის ჯარების ახალი სურათები უკრაინის საზღვართან

12 მაისის ფოტოებზე მოჩანს რუსეთის ჯავშანტექნიკის ჯგუფი, რომელიც კვლავინდებურად უკრაინის საზღვრის მახლობლადაა. ადრე პუტინი აცხადებდა, რომ მოსკოვმა ჯარები გაიყვანა მუდმივი სწავლების ადგილიდან, და ეს შეიძლება, ადვილად შეამოწმოო.

* * *

თურქეთში ძვანახშირის შახტში დაღუპულთა რაოდენობა 201 კაცამდე გაიზარდა

ავარია შახტში მოხდა სამშაბათს სონის დასახლებულ პუნქტში, 250 კილომეტრის დაშორებით სტამბოლიდან, დაახლოებით ორი კილომეტრის სიღრმეზე. წინასწარი მონაცემებით, ნგრევის მიზეზი გახდა მოკლე ჩართვა, რამაც გამოიწვია ხანძარი და აფეთქება. მომხდარის ადგილზე მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები.

◎ დასაფიქრებელია

საუბარი XXII საუკუნის ადამიანთან

მიიღებს თუ არა კაცობრიობა კანონის დიქტატურას?

რამდენი ადამიანიც არის სამყაროში, იმდენი გონია, იმდენი აზრი, დამოკიდებულება ამა თუ იმ საგნისა და მოვლენისადმი. ზოგიერთების მოსაზრებები თითქოს ერთმანეთის მსგავსია, ზოგიერთისა კი იმდენად გამორჩეულია, რომ უცნაურობად გეჩვენება. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევად მივიჩნევ ინტერვიუს გიორგი ყუფარაძესთან, რომელმაც სამყაროს საერთო კონსტიტუცია დაუწერა – XXII საუკუნეში გამოსაყენებლად. სხვათა შორის, მისი ეს ნაშრომი ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი და ამის გამო აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონისგან სამადლობელი წერილიც მიიღო.

ბატონი გიორგის მოღვაწეობა სამ სფეროდ შეიძლება დაიყოს: მეცნიერება, ლიტერატურა და სპორტი. არის რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორი: მის საკმაოდ მოცულობით გამოცემებში - „სიტყვამზეობა“, „მზემცინარობა“ და „მზესიტყვაობაში“ 57 ათასი ავტორისეული აფორიზმია შესული, წერს რომანებს, ლექსებს, რომელიც თარგმნილია რამდენიმე ენაზე. აქვს კომიქსები... მეცნიერებაში რამდენიმე აღმოჩენისა და გამოგონების ავტორია. მისი ერთ-ერთი აღმოჩენაა „პირობით ეტალონების თეორია“. რაც შეეხება სპორტს, იყო ლელო-რაგბის ფედერაციის პირველი თავმჯდომარე, ხოლო ნარდში – არის ოქროს კამათლების მფლობელი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით...

– ბატონო გიორგი, ათზე მეტი წლის წლით კაცობრობას ერთი საერთო კანონები შეუქმენით – „გაერთიანებული სამყაროს ასამბლეის (გასა) კონსტიტუცია“. რატომ გაგიჩნდათ ამის სურვილი?

– დღევანდელი კრიზისი, რაც მსოფლიოში არსებობს, მათ შორის უკრაინაში, იმის ბრალია, რომ არ არსებობს სამყაროს კონსტიტუცია. გაეროს კონსტიტუცია რომ ჰქონოდა, ეს იქნებოდა ქმედითი მექანიზმი წესრიგის დასამყარებლად. ხოლო ის, რაც დღეს გვაქვს გაეროს სახით, არის უბრალოდ საყბედო...

– ყველა სახელმწიფოს თავისი კონსტიტუცია რომ აქვს, ეს არ არის საკმარისი? განსხვავებული რატომ იქნება მსოფლიოს კონსტიტუცია?

– ჩემი აზრით, სამყარო უნდა იმართებოდეს კანონის დიქტატურით. მხოლოდ ეს არის გამოსავალი: უნდა შეიცვალოს კანონის მიმართ დამოკიდებულება, საარჩევნო კანონმდებლობა, სახელმწიფოს მართვის მექანიზმები და ა. შ. მაგალითად, „გასას“ კონსტიტუციის თანახმად, სამყარო დაყოფილია ექვს სათა ქალაქად კონტინენტების მიხედვით, სადაც განლაგებულია უმაღლესი სასამართლო, პროკურატურა, ინტერპოლი, სამედიცინო ჰოსპიტალი, სასწავლო უნივერსიტეტები, ბანკები, განხილულია ყველა ეკონომიკური ბერკეტი. ორიგინალურია საგადასახადო სისტემა, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტს ავსებს ყველა – ქურდი, მექრთამე, მათხოვარი და მიცვალებულიც კი...

– ბატონო გიორგი, მე გავეცანი თქვენს ცალკეულ მოსაზრებებს, სადაც ძალიან საინტერესო რამეებს წავაწყდი. მაგალითად, როგორ შეიძლება გადაიხადოს ფული გარდაცვლილმა?

– ძალიან მარტივად. კანონი უნდა გამოვიდეს ასეთი: ვინც ფულს გადაიხდის სიცოცხლეშივე, დაიმარხება, ვინც არა – დაიწვება. მაგალითად, 20 წლის ასაკში გადაიხდის ერთჯერად 1000 ლარს, თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ 25 წლის ასაკში გადაიხდის 5 ათას ლარს, ან 60 წლისა – 10 000 ლარს. ერთხელ გადაიხდი და თავისუფალი ხარ. ამით სარგებელს ნახულობს ბიუჯეტი, ფული, რა თქმა უნდა, ბრუნავს, მატულობს და როცა გარდაიცვლება ადამიანი, მას უზრუნველყოფილი აქვს სასაფლაო და მის მოსავლელად საჭირო თანხაც, ანუ მემკვიდრეების ნება-სურვილსა და შესაძლებლობებზე არ არის დამოკიდებული...

– 14 წლის ბავშვი როგორ გადაიხდის გადასახადს, რომელსაც თქვენ სავალდებულოდ მიიჩნევთ?

– მშობელი ვალდებული იქნება, შვილს ამ ასაკში სახარჯო ფული გადაურიცხოს ბარათზე. როგორც კი თანხა ანგარიშზე დაჯდება, სახელმწიფო მექანიკურად დაქვითავს, ვთქვათ 10 პროცენტს.

– და ასევე უნდა არსებობდეს აღზრდის გადასახადიც?

– რა თქმა უნდა. ავიღოთ არაიურიდიული პირი. ის გადაიხდის არა მოგების, არამედ ბრუნვის გადასახადს, რომლის 10 პროცენტი შევა ბიუჯეტში, 9 პროცენტით მშობელს უხდის აღზრდის გადასახადს, ხოლო 1 პროცენტი იქნება უძრავი ქონების გადასახადი. თუკი უარს იტყვის აღზრდის გადასახადზე, პრეტენზიას ვერ განაცხადებს მშობლის ქონებაზე.

მეტსაც გეტყვით, მაგალითად, გაქვთ ობიექტი, რომელსაც არ იყენებთ, ან ვერ აქირავებთ, მაშინ გადაიხდით ამის ათმაგ გადასახადს იმის გამო, რომ ფართს აცდენთ და შემოსავლებს უკარგავთ სახელმწიფოს. გაჩერებული ობიექტები არ უნდა არსებობდეს.

– თქვენი „პროექტია“ 500 მილიონერი სოფლის მეურნეობაში საქართველოს მაგალითზე. ესეც მარტივი ფორმულით ხდება?

– მიწა, რომელიც არ დამუშავდება 3 წლის განმავლობაში, მფლობელს ჩამოერთმევა. 1-ჰექტარიანი სოფლის მეურნეობა ბუნებაში არ არსებობს. უნდა მოხდეს რესურსების გაერთიანება. მაგალითად, ხუთმა ფერმერმა ათი ათას ჰექტარზე მოიყვანა კარტოფილი. ეს იქნება დაახლოებით 30 ათასი ტონა... თუკი 50 თეთრად გაყიდის კილოგრამს, იქნება 15 მილიონისა. აქედან სახელმწიფო მიიღებს თავის 10 პროცენტს. 10 პროცენტს მიიღებს სადაზღვევო ორგანიზაცია, რომელიც კურირებას უწევს და ამოწმებს აგრარულ სამუშაოებს. თუკი გავითვალისწინებთ მუშახელს, სესხის გადასახადს, ტექნიკას და სხვა წვრილმანებს, სუფთა 5 მილიონი მაინც დარჩება, ანუ თითოეულს – მილიონი. ამ მილიონით ფული უნდა ვიშოვო. მაგალითად, ავდგები და გავთლი კარტოფილს და თუ გაუთლელი კილოგრამი ლარი ღირს, გათლილს – 700 გრამს ლარად გავყიდი, სამაგიეროდ, ნათალისგან ან სახამებელს დავამზადებ, ან საქონლის საკვებს. მყიდველი არაფერს კარგავს, 300 გრამი ნათალი მან უნდა ისედაც გადაყაროს, მე კი გამოვიყენებ... მარტო ფერმერი კი არ ვიქნები, გავხსნი მაღაზიას, ქარხანას, ხალხს დავასაქმებ, თან ბიუჯეტსაც გავზრდი... ფული იშოვება მომსახურებაში, ერთმანეთის ხარჯზე...

– მოკლედ, თქვენ ყველაფერს ძალიან პრაგმატულად, ერთობ სნობურად უდგებით.

– ყოველმა მოქმედებამ, ფეხის გადადგმამ ფული უნდა მისცეს ადამიანს და, შესაბამისად, სახელმწიფოს, სხვაგვარად არაფერი გამოგვივა, მით უმეტეს საქართველოში.

– თვალში მომხვდა ასეთი პასაჟი: უნდა შემოვიღოთ სიკვდილით დასჯა განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეზე. პატიმრის სურვილის შემთხვევაში, სხეულის ნაწილები შეიძლება გამოიყენონ გადასანერგად. ასეთი სიმკაცრე რა საჭიროა?

– რატომაც არა, ვთქვათ, ხულიგნობაზე, წვრილმან ქურდობაზე საერთოდ არ დავიჭერ, მეორედ თუ მოხდება – გავაფრთხილებ, მაგრამ მესამედ, როცა უკვე პირი რეციდივისტი ხდება, გავასამართლებ. თავიდან მივუჩენ შემოღლილ ტერიტორიას, სადაც მან თავად უნდა ირჩინოს თავი, გაქცევის მცდელობისას – დავხვრეტ. რატომ უნდა შეინახოს პატიმარი სახელმწიფომ? ზოგიერთი მთელი ცხოვრება ციხეში ზის, შემდეგ გამოდის და პენსიას იღებს. რისთვის, გამაგებინეთ?!

– და თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალ საუკუნეში ადამიანები ასეთი პრინციპებით იხელმძღვანელებენ?

– ყველა კანონს უნდა დაემორჩილოს. ეს შექმნის წესრიგს და ჰარმონიას. საქართველო თავისი არსით აღმოსავლური ტიპის ქვეყანაა, ჩვენ შორს ვართ ევროპისგან და ნუ გვექნება დემოკრატიის იმედი. კანონის დიქტატურით უნდა იმართებოდეს ქვეყანა. არავითარი თავისუფლება, მხოლოდ და მხოლოდ კანონებს უნდა დავემორჩილოთ!

– საარჩევნო სისტემაზე თავისებური ხედვა გაქვთ...

– ბუნებრივია. შეიძლება 3,5 მილიონი ამომრჩეველი იყოს საქართველოში, როცა სულ 4 მილიონიც არ ცხოვრობს? ჩემი აზრით, უმჯობესია, 5-5 კაცად დაიყოს ამომრჩეველი და თითოეულს ერთი ნომერი ჰქონდეს. ეს 5 კაცი იმსჯელებს და გადაწყვეტს, ვის უნდა მისცეს ხმა. თავიანთ არჩევანს კი კომისიაში წარადგენენ.

– დეპუტატებზეც მკაცრი კანონი გაქვთ დაწერილი.

– დეპუტატმა ვალდებულებები უნდა იგრძნოს. მას არავინ აძალებს დეპუტატობას. რაც პროგრამაში უწერია, იმის 80 პროცენტს თუ ვერ შეასრულებს ორ წელიწადში, დაისჯება. ამომრჩევლის მოტყუება არ შეიძლება, ეს ჩვეულებრივი თაღლითობაა. დღეს პარლამენტში თუ არ გამოცხადდება დეპუტატი, პასუხისმგებლობა არ ეკისრება. ასე არ შეიძლება. არ გამოცხადდა – 5 საჯარიმო ქულა, ავად გახდა – 1 საჯარიმო ქულა, მივლინებაშია – 1 საჯარიმო ქულა... თუ დააგროვა 120 ქულა, ე. ი. დაემშვიდობება დეპუტატობას. მაგრამ არის მეორე ფაქტიც, იმ მოსახლეობას, ვინც ასეთი დეპუტატი აირჩია, ვუკავებ შემოსავლების 20 პროცენტს. ხალხმაც უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა.

– იწუნებთ საპარლამენტო ენასაც.

– იმიტომ არ მომწონს, რომ პარლამენტის სხდომა ჩვეულებრივი ყბედობაა. დეპუტატმა მოკლედ უნდა თქვას, არ მომწონს, მაგალითად, კანონის II თავი, III და IV ამის და ამის გამო. მორჩა. კაბინეტებში იმსჯელონ და იკამათონ რამდენიც უნდათ, მაგრამ არა სესიაზე...

– ბატონო გიორგი, თქვენ მისაღებად მიიჩნევთ პოლიგამიას და წერთ: ჯიშიან მამაკაცთა ინსტიტუტი უნდა შევქმნათო. ეტყობა, კარგად არ იცნობთ ქართველი ქალის ბუნებას...

– არაფერიც. ყველაფერს ეგუება საზოგადოება. ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა წყობა მივიღეთ. ლამაზ, ჯანმრთელ მამაკაცებს უნდა მივცეთ უფლება, ბევრი ცოლი ჰყავდეთ და ჯანსაღი შთამომავლობა იყოლიონ. დღეს რამდენი გაუთხოვარი ქალი ჩათვლიდა თავს ბედნიერად, თუნდაც ერთი შვილი რომ ჰყოლოდა.

– საშიში მოსაზრება გაქვთ მახინჯი, ინვალიდი ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით. მისი არსებობა მშობლებს უნდა დავუმალოთო. ეს ხომ ქრისტიანული მორალისგან ძალიან შორს დგას.

– ამის გამო მთელი ცხოვრება უნდა იტანჯონ მშობლებმა. არადა, ბავშვი რომ მომკვდარიყო, ხომ გადაიტანდნენ?

– სიკვდილს წინ ვინ აღუდგება, მაგრამ როცა სიცოცხლე გრძელდება, სხვაა...

– არ შეიძლება ასეთი მარტივი აზროვნება. მე სახელმწიფო ვარ, ასე ვთქვათ კომერსანტი, ბიზნესმენი, ყველაფრისგან ფული უნდა ავიღო. მე ვიცი, რომ საზოგადოება ამის წინააღმდეგი წავა. ამ თემებზე საუბარი მქონია განათლებულ ხალხთან, მაგრამ აბა, რა გითხრათ, უმეტეს შემთხვევაში, მათ მოსმენის უნარიც კი არა აქვთ. უხსნი რაღაცას? – ვერ გაიგო, მაგრამ მაინც თავისას გეუბნება, ჭკუას გარიგებს.

– ამიტომ ამბობთ, რომ XXII საუკუნის ადამიანები გაგიგებენ?

– დიახ, ისინი უფრო გამიგებენ, ვიდრე თანამედროვეები...

სხვა გზა არა გვაქვს. კანონის დიქტატურა – ყველანი დაემორჩილებიან კანონს!

– საკმაოდ ვრცელი საუბარი გამოგვივიდა, თუმცა, ჩამონათვალთა შორის კიდევ ბევრი რამ გაქვთ ნაფიქრალი, რომელსაც პირადად მე არ ვეთანხმები. თუმცა, მოდით, ჯერ ეს შევთავაზოთ მკითხველს სამსჯელოდ და განსასჯელად. გმადლობთ.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ ალიან-ჩალიანი

ცხინვალის მხარემ 17 ქართველი გაათავისუფლა

ალნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საჩხერის გამგებლის მოადგილე ელგიზ ქიმაძემ დაუდასტურა.

გათავისუფლებულებისგან 15 საჩხერის მკვიდრია, 2 კი – ხაშურის რაიონიდან.

ბოლო პერიოდში, ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით, ოსურმა მხარემ, ჯონჯოლის საკრეფად წასული 20-მდე ქართველი დააკავა.

ვინ გაქურდა „ნაცების“ საარჩევნო შტაბი?

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის გაქურდვაში ბრალდებული პირი დააკავა.

უწყების ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე ამავე პარტიის შტაბის აქტივისტის აყვანა მოხდა.

– შსს-ს ისანი-სამგორის სამმართველოს მერვე განყოფილების თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატის ლევან ხაბეიშვილის საარჩევნო შტაბის გაქურდვის ფაქტზე, ამავე შტაბის აქტივისტი, 1992 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი კ. დაკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი კ. თბილისში, ვარკეთილის მასივში მდებარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან 12 მაისს, ღამის საათებში, „ლენოვოს“ ფირმის 2 პორტატული კომპიუტერი და „ეიჩ პის“ ფირმის 2 პრინტერი მიითვისა და მიიმალა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ აღნიშნული ნივთები მან თბილისის სხვადასხვა ლომბარდში ჩააბარა. ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ქურდობაში ბრალდებული მომხდარიდან ორ დღეში, ხაშურში დააკავეს. ნაქურდალი ნივთების ნაწილი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს, – აცხადებენ უწყებაში.

შსს-ის განმარტებით, დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

◎ ჭადრაკი

ხომერიკის აბსოლუტური გამარჯვება!

ბრწყინვალე შედეგით – 9-დან 9 ქულა მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული 16-წლიან გოგონებში ნინო ხომერიკმა. გამარჯვებულმა 2.5 (!) ქულით გაუსწრო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებს თეა ჭოლაძეს და ანა თედორშვილს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ქულათა სხვაობა ჩემპიონსა და პრიზიორებს შორის ძალიან იშვიათია და პირველადგილოსნის აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს.

ასევე დამაჯერებლად გაიმარჯვა ანალოგიური ასაკის ჭაბუკთა ასპარეზობაზე გიორგი სიბაშვილმა! ჩემპიონის ანგარიშზე 8 ქულა და ერთქულიანი სხვაობაა მეორე პრიზიორ ნიკა ღვამბერიასთან. 6-6 ქულით III-IV ადგილები გაინაწილეს ნოე თუთისანმა და ვახტანგ ქარელიძემ.

საკუთარი და არ დაინდო დასკვნით ტურში თამარ ესაძემ და 7.5 ქულით ერთპიროვნულად გაიმარჯვა 12-წლამდე გოგონათა შეჯიბრში. ჩემპიონმა ბოლო ტურში ქრისტინე ესაძე დაამარცხა, თუმცა წაგების შემთხვევაშიც ჩემპიონის ტიტულს ინარჩუნებდა, ხოლო მეტოქეს საპრიზო ადგილზე გასვლის საშუალებას აძლევდა. ამის მიუხედავად, ესაძეებმა სპორტული პრინციპები დაიცვეს, რაც ერთობ მისასალმებელია და მწვრთნელი-მამის მურმან ესაძის ღირსეულ სპორტსმენობაზე მიგვითითებს.

6.5 ქულით მეორე ადგილზე მაია ბეჭვაია გავიდა, ხოლო III-IV ადგილები 6 ქულით მარიამ ფართლაძემ (3) და ანასტასია სიდამონიძემ (4) გაიყვეს.

8 ქულა მოაგროვა და დამაჯერებლად იმარჯვა 12-წლიან ბიჭებს შორის ნიკოლოზ პეტრიაშვილმა. 7 ქულით ვერცხლის მედალს ნიკოლოზ კაჭარავა დაეპატრონა, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობა დამატებითმა მაჩვენებლებმა გაარკვია. 6.5 ქულით მესამეზე შოთა ხოდაშნელი გავიდა, მეოთხეზე კი – ასევე 6.5 ქულით ლუკა ობოლაძე.

ყველაზე უმცროს 8-წლამდე გოგონათა შორის 8 ქულით ნია დანელიამ იმარჯვა. ნახევარი ქულით ნაკლები დააგროვა ეკატერინე ცივაძემ, ხოლო 7 ქულით მესამე ადგილზე მარიამ ხურციძე განთავსდა.

8.5 ქულით დამაჯერებლად მოიპოვა პირველობა 8-წლიან ბიჭუნებს შორის თეიმურაზ კვიკვინიამ. აღსანიშნავია, რომ პატარა ჩემპიონი შარშანდელი 7 წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებულიცაა.

7 ქულით მეორე ადგილზეა დემეტრე მიქელაძე, ხოლო III-V ადგილები 6-6 ქულით ნიკოლოზ გაბრიაძემ, ლუკა ფირცხალავამ და ჯამბულ სვანიძემ გაინაწილეს.

ბეჟან დოლიძე

◎ რაგბი

გორგოძე „მსოფლიო XV“-ში

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მესამეხაზელი მამუკა გორგოძე 7 ივნისს მსოფლიოს ნაკრების „მსოფლიო XV“ შემადგენლობაში სამხრეთ აფრიკის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა იმ 23 მორაგბის ვინაობა დაასახელა, რომელთა იმედიც მომავალ დაპირისპირებაში ექნება და ზელანდიელი, ავსტრალიელი, სამხრეთაფრიკელი, ფრანგი, ინგლისელი, ირლანდიელი, სამოელი და ტონგელი მორაგბეების გვერდით არჩევანი ქართველზეც შეაჩერა. აღსანიშნავია, რომ მეორე დონის სარაგბო ქვეყნების წარმომადგენლებიდან მალეტის რჩეულთა შორის მხოლოდ გორგოძე მოხვდა. 7 ივნისს ტესტ-მატჩების დღეა და პარალელურად რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრაც იმართება, რის გამოც მსოფლიო ნაკრებს სრულყოფილი არ ეთქმის, თუმცა, გამოძახებულთა ტესტების რაოდენობა ჯამში 713 თამაშია და გუნდი ნებისმიერ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ძალა იქნება.

მალეტმა მორაგბეები მხოლოდ ევროპული კლუბებიდან გამოიძახა და ის მიიჩნევს, რომ ყველა მათგანი საუკეთესო ფორმაშია. ეს არაა „ბარბაროსები“, რომლის შემადგენლობაშიც მამუკას ორი თამაში აქვს ჩატარებული, ესაა „მსოფლიო XV“, რომლის შემადგენლობაშიც ერთ ქართველს - დავით ზირაქაშვილს უკვე უთამაშია. მაშინ მსოფლიო XV ახალი ზელანდიის ვეტერანთა ნაკრების წინაშე წარსდგა. მომავალი შეხვედრა კეიპტაუნში გაიმართება.

ნატა ნიბლაძე

◎ კალათბურთი

მარცხი სტამბოლურ დერბიში

მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ სტამბოლურ დერბიში „ბეშიქთაშს“ პირველი ტაიმის შემდეგ 12 ქულის სხვაობით ამარცხებდა, თუმცა, უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და მეოთხედფინალური სერიის პირველ მატჩში 70:72 წააგო.

ქართველი მცველი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში იყო და 31 წუთში 5 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

მარკოიშვილმა 2-დან 1 ორქულიანი და 4-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, 1 შეცდომა დაუშვა და 4 პერსონალური ფოლი მიიღო.

„გალათასარაის“ სერბმა ფორვარდმა ზორან ერცეგმა 8-დან 6 სამქულიანი გამოიყენა და 22 ქულა ჩააგდო, შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე კი „ბეშიქთაშის“ ამერიკელი მცველი კრის ლოფტონი გახდა, რომელმაც 24 ქულა მოაგროვა.

16 მაისს, სერიის მე-2 მატჩში, „გალათასარაი“ „ბეშიქთაშს“ უკვე სტუმრად გაეჯიბრება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თაოგა

ახალგაზრდა ხელბურთელთა ნაკრებმა უკრაინაში საერთაშორისო ტურნირი მოიგო

16-19 მაისს თბილისში, გლდანის სახელბურთო დარბაზში იმართება ვაჟების და გოგონების საერთაშორისო ტურნირი ჯემალ ცერცვაძის თასზე. ტურნირთან დაკავშირებით სპორტის სამინისტროში პრესკონფერენცი გაიმართა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე, ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე და 1998-99 წლებში დაბადებული ვაჟების და გოგონების ნაკრები გუნდების მწვრთნელები გიორგი ქობელაშვილი და მაია კარბუნარი დაესწრნენ.

ორივე ნაკრებმა უკრაინაში საერთაშორისო ტურნირზე ითამაშა. შესაბამისად, პრესკონფერენციაზე ახალგაზრდა ხელბურთელთა გამოსვლა შეაფასეს და მომავალი ტურნირის შესახებაც ისაუბრეს. ვაჟების ნაკრები უკრაინაში ჩემპიონი გახდა – მოიგო ოლეგ ველიკის სახელობის საერთაშორისო ტურნირი.

კობა კობახიძე

◎ ჩოგბურთი

რეფორმატორი ნა ლი

ჩინელმა ნა ლიმ რომის ტურნირის მეორე წრეში ავსტრალიელ კეისი დელაკუას 6:1, 6:4 სძლია და კარიერის განმავლობაში 500-ე მოგება იზეიმა. 32 წლის აზიელი მოქმედ ჩოგბურთელთაგან მე-12-ე მოთამაშე გახდა, რომელთაც 500 და მეტ შეხვედრაში მიუღწევიათ წარმატებისთვის.

ამასობაში ამერიკულმა ჟურნალმა Fast Company ნა ლი მსოფლიო ბიზნესის 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში შეიყვანა. ამ რეიტინგში აზიელ ჩოგბურთელს 50-ე ადგილი მიაკუთვნეს და ნა ლი ამ სიაში ერთადერთი სპორტსმენია.

ნა ლის გავლენიან ბიზნესმენთა შორის შეყვანა პოპულარული გამოცემის რედაქტორმა ჯეისონ ფრეიზერმა ჩოგბურთელის მიერ სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო სისტემასთან კავშირის გაწყვეტის გამო ახსნა. ეს ახალგაზრდა ჩინელი ათლეტებისთვის სტიმულის მიმცემი უნდა გახდეს. ამასთან, ნა ლი ერთადერთია Nike-ის სპორტსმენთა გუნდიდან, რომელსაც თავის ეკიპირებაზე სხვა სპონსორების ლოგოტიპების ტარებაც შეუძლია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

მესი: ტიტული ვილანოვას ხსოვნას უნდა მივუძღვნათ

ლიონელ მესი ესპანეთის ჩემპიონობის შემთხვევაში ოქროს მედალს ყოფილი მწვრთნელის ხსოვნას მიუძღვნის

„ბარსელონას“ თავდამსხმელმა ესპანელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ თუ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულს მოიგებს, ამ მიღწევას „ბარსელონას“ ყოფილი მთავარი მწვრთნელის ტიტო ვილანოვას ხსოვნას მიუძღვნის. არგენტინელმა ვარსკვლავმა იქვე დასძინა, რომ მისი ყველა თანაგუნდელი ანალოგიურად ფიქრობს.

„ჩვენ ოქროს მედლების მოგებას ვგეგმავთ და გვინდა წარმატებული სეზონით ტიტო ვილანოვას მივაგოთ პატივი. ის „ბარსელონას“ საუკეთესო ქომაგი იყო“ – განაცხადა ლიონელ მესიმ.

გიორგი შოთაძე

◎ ფორუმის წინ

ვან გაალის რჩეულნი

ჰოლანდიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

ჰოლანდიური პრესის ინფორმაციით, ვან გაალმა შეკრებაზე 30 მოთამაშეს უხმო.

მეკარეები: იასპერ სილენსენი, მიხელ ფორმი, იერუნ ზუტი, ტიმ კრული.

მცველები: დალეი ბლინდი, ჟოელ ველტმანი, ქარრიმ რეკიკი, დარილ იანტმანი, მარტინს ინდი, ტერენს კონგოლო, სტეფან დე ვრეი, რონ ვლარი, პატრიკ ვან ანხოლტი, პოლ ვერხაგი.

ნახევარმცველები: ხორდი კლასი, ტონი ვილხენა, ჯონათან დე გუზმანი, ლერუა ფერი, ნაიჯელ დე იონგი, ქუინსი პრომესი, არიენ რობენი, ვესლი სნაიდერი, რაფაელ ვან დერ ვაარტი, გეორგინიო ვეინალდუმი.

თავდამსხმელები: ჟან-პოლ ბოეტიუსი, მემფის დეპაი, ჯერმეინ ლენსი, რობინ ვან პერსი, დირკ კიუიტი, კლას-იან ჰუნტელაარი.

ჰოლანდიელთა თავკაცი საბოლოო 23-კაციან შემადგენლობას მოგვიანებით დაასახელებს.

როსტომ რაჭველიშვილი

ისტორიული სამართლიანობა მოითხოვს!

პრინც აშილ მიურატის დაკრძალვა სოფელ ჭკადუაშში

ვეხმაურები და მხარს ვუჭერ დადიანის სამთავრო სახლისა და პრინც აშილ მიურატის შთამომავლების სამართლიან მოთხოვნას, რათა ს. ჭკადუაშში არსებული სალომე და აშილ მიურატების სასახლე გადაეცეს შესაბამისი ფორმით საქართველოში 20 წლის წინათ დაბრუნებულ მემკვიდრეებს — პრინც ალენ მიურატის ოჯახს. ეს იქნება ისტორიული სამართლიანობის კანონზომიერი აღდგენა და ერთადერთი გამოსავალი ამ უნიკალური არქიტექტურის სასახლის დღემდე მოღწეული ნაწილის გადასარჩენად სამომავლო რეაბილიტაციისათვის.

ცნობილია, რომ დადიანის სამთავრო სახლის სიძეს — პრინც აშილ მიურატს და მის ოჯახს საქართველოში სხვაგან არსად არ უცხოვრია სოფ. ჭკადუაშისა და ამ სასახლის გარდა. თავის დროზე ამ სამკვიდრო მამულში გააშენა მიურატმა ვაზის უნიკალური ჯიშების ვენახები. აქვე ჰქონდა მას დაარსებული საქართველოში პირველი ღვინის ქარხანა სარდაფითურთ, რომლის ნარჩენებიც კი აღარაა შემორჩენილი. აშილ მიურატი ამ სასახლეში გარდაიცვალა და ამავე მამულშია დასაფლავებული.

საქართველოში ბოლშევიკური გადატრილების შემდეგ 1921 წლიდან, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა მისი თავდაპირველი სახით შენარჩუნება. მაშინდელი ჩაკეტილი სივრცის გამო, როგორც ზოგადად ემიგრაციაში მყოფ ქართველებს, ისე ვერც ევროპაში გაბნეულ მიურატ-დადიანის მემკვიდრეებს მისცემიათ შესაძლებლობა სამშობლოს მონახულებისა. სსრკ-ის უშიშროებამ მხოლოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში დართო ნება საფრანგეთში მცხოვრებ მიურატის მემკვიდრეს არჩილს (აშილ უმცროსს) ჩამოსულიყო სამშობლოში, ორიოდ საათით მოენახულებინა წინაპართა ნასახლარი

მიურატების საზაფხულო რეზიდენცია დღეს

და მამის საფლავი. ამ ჩამოსვლამ მაშინ ერთი უცნაური ამბის მომსწრე გახადა მისი თანმხლები პირები და მეც: არჩილმა, რომელიც აქ იზრდებოდა, მთელი ბავშვობა ამ სასახლეში გაატარა და შემდეგ საფრანგეთში იძულებით ემიგრაციაში ცხოვრობდა, ამ ნებადართულ ორიოდ საათში ისღა „მოახერხა“, რომ ქართულ მიწას დაჩოქილი ეამბორა, იქვე გაკოტრიალდა, როგორც ოდესღაც ბავშვობაში. მერე გაიხადა ტალახში ამოვლებული ევროპული კოსტიუმი და ხმამაღლა თქვა — „ამ კოსტიუმით უნდა დამკრძალონო“.

აშილ და სალომე მიურატების დღევანდელ შთამომავლებს დაგეგმილი აქვთ ს.ჭკადუაშის სასახლეში აღსდგეს და გაგრძელდეს იმ ისტორიულ-კულტურული კერის ფუნქცია, რომელიც უხვად მოიცავს ს. ჭკადუაშის ისტორიას სოფლისა, სადაც უცხოვრიათ და და უღვაწიათ ქართული კულტურული ისტორიისათვის ცნობილ მეტად საინტერესო ადამიანებს. სხვა რომ არა, მარტო „დიდი ნიკოს“ — ნიკო დადიანის „ქართლის ცხოვრების“ ამ უკანასკნელი მემატიანის სოფელ ჭკადუაშში ცხოვრება და მოღვაწეობაც იკმარებდა.

ალენ მიურატის ოჯახის ძალისხმევით აღდგენილი და განახლებული ეს კერა, თავისი მდიდარი ისტორიული კავშირებით უდავოდ გახდება ერთგვარი ხიდი საქართველოს როგორც შიდა მხარეების, ისე მის ფარგლებს გარეთ ურთიერთობებისთვის. ამ ოჯახის შუამავლობით, რომლის შესაძლებლობა, პოტენციალი და სურვილიც მათ აქვთ, ს. ჭკადუაში და მიურატების სასახლე სამომავლოდ იქცევა ქართულ-ფრანგული საინტერესო შეხვედრების ადგილად.

ოთარ ჭითანავა,
საზოგადოება „ჭკადუაშელის“ თავმჯდომარე,
ყოფილი პარლამენტარი

გახსენება

თარხან თავართქილაძე



რამდენი გავაცილეთ ამ ქვეყნიდან, რამდენი სიცარიელე დარჩა ჩვენს გარშემო, რამდენი შეუხორცებელი იარა...

ალბათ, იმიტომ, რომ გარდა მეგობრობისა, ყველა გამორჩეული, განსაკუთრებული იყო ისე, როგორც შენ: უმამოდ შესანიშნავი დედის გაზრდილი, თავად ყველასათვის სანატრელი ოჯახის შემქმნელი, ბუნებით კეთილშობილი, ახლობლებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, თავგანწირული, თბილი, მოსიყვარულე, მართალი, ყურადღებიანი, გამორჩეული იუმორითა და ღიმილით.

ჩვენო თარხან! ამიტომ ვართ ყველა შენს გარშემო ასე დათრგუნვილი. გაჩნდა ახალი სიცარიელე, ახალი შეუხორცებელი იარა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ვალმოხილი სული.

გურამ ანდრონიკაშვილი, გურამ ბაკურაძე, გურამ ბზვანელი, ოთარ გაბელაშვილი, ალიოშა დავლიანიძე, ჯემალ ლაღიძე, ავთანდილ საყვარელიძე, თამაზ ცინცაძე, მერაბ ცირღილაძე, ომარ ცაავა, იუზა ხუსკივაძე.

ფონდის გამგეობა და სარედაქციო კოლეგია მწუხარებას გამოთქვამენ საქართველოს თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, დიდებული მოქალაქისა და საქვეყნოდ აღიარებული მშენებლის

გივი კვიჭიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ძვირფას ოჯახს.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა
საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი.

რევაზ თევზაძე, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ შესანიშნავი პიროვნების და უბადლო დასტაქრის ბატონი

ბიჭი მაჭავარიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

მწუხარება

92 წლისა გარდაიცვალა ლილი იოსელიანი

92 წლის ასაკში გარდაიცვალა პირველი ქართველი პროფესიონალი რეჟისორი ქალი, საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლილი იოსელიანი. დაიბადა 1922 წლის 25 მარტს.

ლილი იოსელიანი დამდგმელ რეჟისორად მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა, მარჯანიშვილის, სანკულტურის, რუსთაველის, ქუთაისისა და რუსთავის თეატრებში. სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე იყო გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეტრაში. 1945 წლიდან მოღვაწეობდა თეატრალურ უნივერსიტეტში.

იოსელიანის ცნობილ დადგმებს შორის არის ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, მაქსიმ გორკის „მდაბიონი“ და „ფსკერზე“, ჩეხოვის „სამი და“, დოსტოევსკის „იდიოტი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ და „ჰამლეტი“, ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“ და სხვა.

ასევე იოსელიანი გადაღებულია ფილმებში: „დები წყვდიადში“ („ბერნარდა ალბას სახლი“), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „წყარო“, „ფესვები“. მასზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „ოსტატობის გაკვეთილი“.

ალიანჩალიანი

ნიკა გვარამია ცეცხლს ეთამაშება და თვითონვე დაინახავს ჯოჯოხეთს

ერთადერთმა კაცმა იცის, თუ ვინ უსმენს მართლა, ეს გახლავთ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დღევანდელი ხელმძღვანელი და ცოცხალი თავით არ ამბობს, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, „რუსთავი 2“-ის მიერ გავრცელებული ფარული ჩანაწერების კომენტირებისას განაცხადა.

— ის რაღაც ჟურნალისტურ ქარტიას ეფარება და არ ამბობს, ვინ მიუტანა ეს ჩანაწერები. ჩემთვის ცოტა გაურკვეველია ეს ფაქტი, რომ შენ გქონდეს აკრძალული ნივთი, ეს ნივთი ვიღაცამ მოიპარა და მოგიტანა, შენ ხმარობ მას და არ ასახელებ, თუ ვინ მოგცა. მაშინ ან შენ თავზე აიღე ეს ყველაფერი, ან დაასახელე წყარო და მაშინ მარტივია ყველაფრის გაგება და ამდენი გამოძიება არ დაგვჭირდება, — განაცხადა ქანთარიამ.

მისივე თქმით, წინაალმდეგ შემთხვევაში ნიკა გვარამია თავად ხდება ავტორი და რეალიზატორი აღნიშნული ჩანაწერებისა.

— რაც შეეხება იმ სიტყვებს — კუპრი, ჯოჯოხეთი და ა.შ., მე მას მოვუწოდებ, ხელისუფლების ჰუმანურობას სისუსტედ ნუ ჩათვლის. ჩვენ არავის მოვუწყობთ ჯოჯოხეთს, მაგრამ პირდაპირ ვეუბნები ბატონ გვარამიას, რომ იმ პოზიციით, რაც მან დაიჭირა, ცეცხლს ეთამაშება და თვითონვე დაინახავს ჯოჯოხეთს, ამიტომ მიიღოს ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება და დაასახელოს, საიდან გამოჟონა ამ ინფორმაციამ, — განაცხადა ქანთარიამ.

დაერქვას „რუსთავი 2“-ს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზიაა

აღნიშნული განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატმა ირაკლი სესიაშვილმა გააკეთა.

— პირველ რიგში ვადასტურებ ჩემს განსაკუთრებულ პატივისცემას ჟურნალისტების მიმართ, მაგრამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. დაარქვით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, რომ არის „ნაციონალური მოძრაობის“ ტელეკომპანია. ამაში დასაძრახი არაფერია. საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს. მსოფლიოში არიან პარტიები, რომელთაც საკუთარი ტელევიზია აქვთ. მთავარია, არ შეილახოს მედიის თავისუფლება, შეურაცხყოფა არ მიაყენონ ჟურნალისტებს და მათ პროფესიონალიზმს. ჟურნალისტმა იცოდეს, ვის ემსახურება და თუ უნდა, რომ ასეთ სამსახურში იმსახუროს, დაე, იმსახუროს, — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

დეპუტატმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მიმართა და ოპოზიციონერი კოლეგები სიცრუესა და სხვისთვის ჩირქის მოცხებაში დაადანაშაულა.

— ფარული მოსმენების თემა ხელოვნურად არის ინსპირირებული. ძალიან მარტივი და ლოგიკური კითხვა მიჩნდება, რატომ უნდა გისმენდეთ ძვირფასო კოლეგებო? — აქ რომ გისმენთ, ისიც საკმარისია. ცხრა წელი რომ გისმენდით, ისიც საკმარისია. ერთმანეთს რომ უსმენდით, ისიც საკმარისია. პირველ რიგში, დაგეწყოთ იმით, რომ საზოგადოებისთვის ბოდიში მოგეხადათ და თუ საზოგადოებას არ მოუხდიდით ბოდიშს, ერთმანეთისთვის მაინც მოგეხადათ ბოდიში ამდენი მოსმენებისთვის, ფარული ჩაწერებისთვის და ასე შემდეგ. მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ, როცა არ შეგიძლიათ რაიმე კარგი წარმოაჩინოთ, ცდილობთ, ჩვენ მაინც როგორღაც თქვენ დაგემსგავსოთ. ამაზეა აგებული თქვენი პოლიტიკა, — განაცხადა სესიაშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების მისამართით.

ინტერპრესი

გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

როგორ გავიზომოთ სწორად წნევა?

სწორად როგორ გავიზომოთ არტერიული წნევა? რატომაა, რომ წნევა მარჯვენა და მარცხენა ხელზე არის ხოლმე სხვადასხვა? ნორმალურია ეს?

თინა, თბილისი

გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ალეძსი თომაძე:

— წესის მიხედვით, წნევის გაზომვა საჭიროა მშვიდ მდგომარეობაში. სანამ მას დავიწყებდეთ, უნდა დავჯდეთ სკამზე 5-10 წუთით, შემდეგ გავიზომოთ წნევა სამჯერ ინტერვალებით კვლავ 5-10 წუთით და შევარჩიოთ საშუალო მაჩვენებელი.

გასაგებია, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ასე არავინ აკეთებს, თუმცა, სიმშვიდის გრძნობა გაზომვის წინ მაინც საჭიროა. სხვაობა მაჩვენებლებს შორის ვერცხლისწყლის სვეტის 10 მილიმეტრამდე ითვლება ნორმალურად. ხოლო თუ იგი გაცილებით მაღალია, მაშინ, როგორც წესი, ეს გაზომვის შეცდომებია, განსაკუთრებით

თანამედროვე ელექტრული ხელსაწყოებისა, თუმცა, იშვიათ შემთხვევებში შეიძლება პერიფერიული არტერიების ათეროსკლეროზის ან მათი გაზომვის ანთების სიმპტომი იყოს.

რაც უფრო ხანდაზმული ხარ, მით მაღალია?

სწორია რომ რაც ასაკოვანია ადამიანი, მით უფრო მაღალი უნდა იყოს მისი არტერიული წნევა? ზოგჯერ იმასაც ამბობენ ხოლმე, რომ ნორმალური წნევა შეიძლება გამოვიანგარიშოთ ასაკისთვის 100-ის მიმატებით. ან იქნებ ნორმა ყველა ასაკისთვის ერთია?

გალინა, მცხეთა

— არა, ეს სწორი არაა. არტერიული წნევის ნორმის ზედა ზღვარი ერთია ყველასთვის: ვერცხლისწყლის სვეტის 139/89 მილიმეტრი. ციფრები 140/90 და ზევით — ეს უკვე ჰიპერტონიაა.

სხვა საქმეა, რომ ასაკოვან ადამიანებთან ხშირად გვხვდება ეგრეთ წოდებული იზოლირებული სისტოლოგიური ჰიპერტენზია, როდესაც იზრდება წნევის ციფრები შენარჩუნებული ან შემცირებულიც კი ქვედა ციფრებით. 60-65 წლის ასაკში ასეთი წნევა შეეშინდებათ ადამიანების 60-80 პროცენტს. ოდესღაც ეს განიხილებოდა თითქმის როგორც ნორმის ვარიანტი, დღეს გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თუ ამ მდგომარეობას არ ვუმკურნალებთ, ასეთ პაციენტებს გაცილებით ხშირად ექნებათ გართულებები ინფარქტების ან ინსულტების სახით.

მცირე ენციკლოპედია

ძაღლური სამსახური

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური არსებების ისტორიაში ერთი უჩვეულო პერსონაჟია — შავი ლაბრადორისა და როტვეილერის მეტისი ძაღლი ბოსკო რამოსი.

ქარიზმატულმა ბოსკო რამოსმა კალიფორნიის შტატის ქალაქ სანოლში მერის არჩევნებში ორ კაცს მოუგო 1981 წელს. „ძაღლივით ავმა“ მერმა თანამდებობაზე 1994 წლამდე დაჰყო. მერობის 13 წლის მანძილზე ბოსკო ხშირად მონაწილეობდა სატელევიზიო გამოსვლებში, ქალაქის ახალ ამბებსა და სათამაშო შოუებში. მან სახელი კომუნისტურ ჩინეთში გაითქვა, სადაც მერად მისი არჩევის შემდეგ განაცხადეს, რომ თავისუფალი არჩევნები არაფუნქციონალურია. ამ უაპელაციო განცხადების შემდეგ ბოსკო თავის მომხრეებთან ერთად სან-ფრანცისკოში გამართულ საპროტესტო აქციებში იღებდა მონაწილეობას და სახელი მთელ მსოფლიოში გაუვარდა. ძაღლის სიკვდილის შემდეგ მოქანდაკე ლენა ტორითმა მისი ბრინჯაოს ქანდაკება შექმნა.

დემოკრატიის აჩრდილი

სიკვდილით დასჯა ევროპაში მრავალი საუკუნის მანძილზე სახელმწიფოებრიობის საფუძველი იყო, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფდა. მე-19 საუკუნის ფრან-



გმა სამართალმცოდემ და ფილოსოფოსმა ჟოზეფ დე მესტრმა კი მას სულაც „თანამედროვე საზოგადოების ქვაკუთხედი“ უწოდა.

საფრანგეთი ევროკავშირის ბოლო ქვეყანა იყო, რომელმაც სიკვდილით დასჯა გააუქმა. გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს იქ სიკვდილმისჯილებს მუდამ თავს კვეთდნენ — ნაჯახით თუ ეროვნული „ღირსშესანიშნაობით“ გილიოტინით. თავის მოკვეთა არისტოკრატების პრივილეგია იყო, ისიც მხოლოდ იმათი, ვინც კორუფციაში არ იყო გარეული. უბრალო ხალხს კი პარიზში გრევის მოედანზე საჯაროდ ჩამოახრჩობდნენ, მეფეზე თავდასხმისთვის ჯერ ხელ-ფეხს, შემდეგ კი თავს კვეთდნენ, ერეტიკოსებს კოცონზე წვავდნენ, ყაჩაღებს ბორბლავდნენ, ყალბი ფულის მჭრელებს კი მდუღარე ზეთში აგდებდნენ. 1791 წლის საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ გილიოტინამ ყველა ჯურის დამნაშავე „გაათანაბრა“. საფრანგეთში ბოლო სიკვდილმისჯილი ტუნისელი ჰამიდ ჯანდუმი იყო, რომელსაც ქალიშვილის მკვლელობისთვის სასიკვდილო განაჩენი 1981 წელს გამოუტანეს, რის შემდეგ პარლამენტმა სიკვდილით დასჯა გააუქმა.

ევროკავშირის მიერ 2000 წელს მიღებული ფუძემდებლურ უფლებათა ქარტიის მე-7 მუხლში, კერძოდ, ნათქვამია: „სიკვდილი არავის არ უნდა მიესაჯოს და სიკვდილით დასჯილი არავინ არ შეიძლება იყოს“. ამ დებულების დარღვევისთვის ქვეყანას ევროკავშირში, შესაძლოა, ხმის უფლება ჩამოართვან.

ძველი კერპი

სხვადასხვა ცხოველთა კულტები მსოფლიოს უკლებლივ ყველა კუთხეშია გავრცელებული, მათ შორის, ცხადია, კავკასიაშიც, სადაც მეჯოგეთა უძველესი კერპის, თხის თაყვანისცემა უხსოვარ დროს ალანებმა შემოიტანეს.

ოსთა წინაპრები საძოვრებში თუ სოფლის შემოსასვლელებში სპეციალურ ნიშებში დიდრქიანი თხის მოხარშულ თავს დებდნენ. მას ფარის საღად ყოფნას, გამრავლებასა და, ზოგადად, მეჯოგეობასთან დაკავშირებულ მრავალ სხვა რამესაც შესთხოვდნენ. ეს რიტუალი კავკასიის მთებში მცხოვრებ ოსებში დღესდღეობითაცაა შემორჩენილი. თხის თავის ნახარში სარიტუალო წვნიანი იყო, რომელსაც პირველი ოჯახს უფროსი აჭაშნიკებდა.

ცხოველთა „კონდიციონერი“

ჯანმრთელ ძაღლებსა და კატებს ცხვირი მუდამ სველი და ცივი აქვთ, თუმცა, არა მარტო მათ — ასეთივე ცხვირები ასევე ჯანსაღ მტაცებელ ჩლიქოსან ცხოველებსაც აქვთ.

საქმე ისაა, რომ ცხვირის ბიბილოზე (ეგრეთ წოდებულ „ცხვირის სარკეზე“) საგანგებო ჯირკვლებია, რომლებიც მცირეოდენ ლორწოს გამოყოფენ. ის თხელი ფენით მთელ ცხვირის სარკეს ნამავს. ლორწოს შემადგენლობაში შემავალი წყალი გამუდმებით ორთქლდება, რა დროსაც მის მიერ დაფარული ზედაპირის ნაწილის ტემპერატურა ეცემა, შესაბამისად, ცხვირის ბიბილოც ცივდება.

ლორწოს თხელი ფენა კი ცხოველებს სუნების უკეთ შეგრძნებასა და მათ ერთმანეთისგან გარჩევაში ეხმარება: ნივთიერების მოლეკულები მასზე რჩება და შემდგომ, თავისი აგებულების შესაბამისად ცხვირის ღრუში განთავსებული საყნოსავი რეცეპტორებისკენ სხვადასხვა სიჩქარით გადაადგილდება. ნამიანი ცხვირის დამატებითი ფუნქცია სხეულის ტემპერატურის რეგულაციაში მონაწილეობაა. კატები, ძაღლები და სხვა ცხოველები ბალნის მკვრივი საფარით არიან დაფარულნი, ამიტომ სითბოს გაცემა რამდენადმე გაძნელებულია. ასეთ ვითარებაში სველი ცხვირი ცხოველს გაგრილებაში ეხმარება ისევე, როგორც ღია ხახა და გადმოგდებული ენა.

ცინცხალი ანეკდოტები

ორი ახალი ქართველი შეხვდა ერთმანეთს:

— როგორი აგარაკი გაქვთ?

— ისე რა, ჩვეულებრივი... ექვსასი მეტრი...

— ნორმელურია... მიწის ნაკვეთი რამხელაა?

* * *

შენ არასოდეს არ მისმენ, შენ გესმის მხოლოდ ის, რაც გსურს, რომ მოისმინო.

— რა თქმა უნდა, დავლევ ლუდს.

* * *

— ძალიშვილო, ხომ ვერ მეტყოდით, რომელი საათია?

— ვერა.

— რა ცუდია, საწოლში ძალიან მაგარი ვარ...

— მე რომ უცებ მივატოვო სმა, შენი აზრით, ღამის ორ საათზე როგორ გაიგებენ ჩემი მეგობრები, რომ მე ისინი ძალიან მიყვარს, ვაფასებ და პატივს ვცემ?

* * *

მასწავლებელი საკლასო ოთახში შედის და ხედავს, რომ მთელ დაფაზე უზარმაზარი მამაკაცის ორგანოა დახატული.

— ვინ დახატა? — კითხულობს მასწავლებელი.

ყველა დუმს. ბოლოს მიხო წამოდგება:

— მე დავხატე. მერე რა, როო?

მასწავლებელმა მიხოს გარდა ყველა დაითხოვა ოთახიდან გავიდა 10 წუთი, 20... მთელი საათი... ბოლოს ოთახიდან გამოდის მიხო და შარვალს იკრავს:

— აი, ასე, მთავარია რეკლამა!

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24